ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2017 №187 (7422) ფასი: 50 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილი: „უკრაინის მოქალაქეობა უნდა დავიბრუნო“



გვ.2

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





# „პუტინის ვიზიტი აფხაზეთში ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაციის მცდელობაა“



გვ.2

„არასდროს არც ერთი ქართველი არ ცნობს ოკუპაციას. არასდროს არანაირი ხელოვნური მავთულხლართები, თხრილები და მოგონილი საზღვრები არ გაყოფს მთლიანობას და ურყევობას ჩვენი ქვეყნისა.



ჩვენ არაერთხელ გაგვივლია ეს და საქართველო ყოველთვის გამოსულა გამარჯვებული. ჩვენი სახელმწიფოებრიობა უძლიერეს იმპერიებს ვერ შეურყევია. არანაირი ახალი ამბავი, ან ახალი რეალობა, ან ახალი გამართლება ამ ჭეშმარიტებას არ შეცვლის“

## მამუკა არეშიძე: „რუსეთის წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქციები უნდა დაწესდეს“

გვ.4



## შოთა მალაშხია: „ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აღდგება“



გვ.3

„რუსეთს ყველაზე მეტად თავისი ოლიგარქების ქონებაზე გამოძიების შედეგების დადება აშინებს“



## „ცხინვალიდან ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემი მანქანით გამოვიყვანე“

გვ.3



გვ.6

### 6 თვეში საქართველომ ტურიზმიდან 1 მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო

### ვინ არის რუსეთის მოქალაქე კობა ღურწკაია, რომლის კომპანიაც საქართველოში ლატარიას 2027 წლამდე ჩაატარებს



გვ.6



გვ.6

### ბანკებმა 6 თვეში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 114,9 მლნ ლარის მოგება მიიღეს

### საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 48.37%-ით არის გაზრდილი

გვ.5



ISSN 1987-9385

# მიხეილ სააკაშვილი: „უკრაინის მოქალაქეობა უნდა დავიბრუნო“

## ექსპრეზიდენტმა ლიტვის მოქალაქეობაზე უარი თქვა

შორენა მარსაგიშვილი

**მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი მიხეილ სააკაშვილი თავს საკმაოდ მხნედ გრძნობს და ევროპის ქვეყნებში ლაღად გადაადგილდება. პოლონეთის შემდეგ ის ლიტვას ეწვია. ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობა შესთავაზეს.**

ამ შეთავაზებაზე მოქალაქეობა-წართმეულმა უარი განაცხადა. მას გუმანში უკრაინის მოქალაქეობის დაბრუნება აქვს.

„ინტერფაქს-უკრაინას“ ცნობით, ლიტვის მოქალაქეობაზე უარი სააკაშვილმა ვილნიუსში თქვა. ვილნიუსს ის დღეს, 9 აგვისტოს დატოვებს.

პრეზიდენტყოფილმა ჟურნალისტებს თავისი პასპორტიც წარუდგინა. აღმოჩნდა, რომ სააკაშვილი ევროპაში უკრაინული პასპორტით გადაადგილდება.

რადიო თავისუფლებასთან საუბარში მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ არ სურს უკრაინელებს იმედები გაუცრუოს და ამიტომ არ დათმობს უკრაინის მოქალაქეობას.

ლიტვის შემდეგ, სააკაშვილი ევროპის კიდევ ერთ ქვეყანაში ჩავა, საიდანაც ის ბრიუსელში გაემგზავრება. სადაც, მისი თქმით, ევროპელ ლიდერებს შეხვდება.



პრეზიდენტყოფილმა პეტრო პოროშენკო საბჭოთა დიქტატორული მეთოდების გამოყენებაში დაადანაშაულა.

– ის, რაც უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ გააკეთა, არაკანონიერია. მან უკრაინის კონსტიტუცია, მოქალაქეობის შესახებ კანონი დაარღვია. მან ყველაფერი გათელა, რისი გათელვაც შეიძლებოდა და ეს ტიპიურ საბჭოურ სტილში გააკეთა. იფიქრა, ახლა ზაფხულია, მსოფლიო ამას ყურადღებას არ მიაქცევსო და, რომ მე ვერ შევძლებ უკრაინაში დაბრუნებას და ჩემი უფლებების დაცვას, – აცხადებს რადიო თავისუფლებასთან საუბარში სააკაშვილი.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ უკრაინელები ამას არ დაივიწყებენ.

– ისინი არასოდეს ივიწყებენ დიდ უსამართლობას, – აღნიშნავს ჩვენებური.

მედიასთან საუბარში ამბობს, რომ მისი პოლიტიკური გეგმები უკრაინას უკავშირდება. ის თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოში აპირებს ბრძოლას.

– ჩემი პოლიტიკური გეგმები უკრაინას უკავშირდება. მივიჩნევ, რომ უსამართლობა მოხდა. მე უნდა დავბრუნდე უკრაინაში და სასამართლოში ჩემი უფლებები დავიცვა. ეს არის ახლა მთავარი. ევროპაში ვიმოგზაურებ, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს შევხვდები, – აღნიშნავს ნაპრეზიდენტალი.

მან იმ შეხვედრის შესახებაც ისაუბრა, სადაც მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი გადაწყდა. ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება პოროშენკომ ბიძინა ივანიშვილთან ერთად მიიღო. სააკაშვილის მტკიცებით, ისინი ერთმანეთს ურეკში შეხვდნენ. მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით პუტინის დავალება შესრულდა.

სააკაშვილს მოქალაქეობა მაშინ ჩამოართვეს, როცა ის ამერიკაში იმყოფებოდა. ამერიკიდან ის პოლონეთში ჩავიდა. ამას საქართველოს ხელისუფლების გაღიზიანება მოჰყვა. მთავარმა პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ პოლონეთის ხელისუფლებას მიმართვა გაუგზავნეს.

ჩვენებურმა იუსტიციის მინისტრს შეუთვალა, რომ ის უკრაინაში დასაბრუნებლად ემზადება, სადაც მას უამრავი მომხრე ჰყავს.

– ვემზადები უკრაინაში დასაბრუნებლად, სასამართლოში ჩემი საქმის დასაცავად, იმიტომ, რომ 100 პროცენტიანი მოგებული საქმეა და უკრაინაში აქტიური პოლიტიკური ბრძოლის გასაგრძელებლად. მე მყავს მილიონობით მომხრე, უკრაინაში მრავალი მილიონი მომხრე, მე მაქვს რწმენა ჩვენს ძალებში, ჩვენი აქტივის ძალებში და დარწმუნებული ვარ ჩვენს გამარჯვებაში.

ოლიგარქების გარიგება – ივანიშვილი და პოროშენკო გარიგდნენ, ურეკში და ეს ყველაფერი აკურთხა პუტინმა. თუ საქართველოს ე.წ. პროკურატურამ რამე გაუგზავნა ვინმეს, ეს უკვე სასაცილოდ აღარავის აღარ ყოფნის არსად. ეს არის პირდაპირ პუტინის დავალება, პუტინი არც მალავს, რომ ეს არის მისი დავალება. ესენი არიან პუტინის ნების სამარცხვინო შემსრულებლები, – მიიჩნევს მოქალაქეობაწართმეული.

მედიასთან საუბარში ის 2008 წლის აგვისტოს ომსაც შეეხო. ის აღშფოთებულია იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება პუტინის ნებას მიჰყვება.

– როდესაც გვაქვს რუსეთის შემოჭრის და რუსეთის თავდასხმის წლისთავი, აგრძელებენ მონურად პუტინის ნების შესრულებას, პუტინისთვის ეს არის საკითხი, იმიტომ, რომ პუტინი პასუხობს იმაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება დავიცავი. პუტინის ყველა ნების ყველა შემსრულებელს მოუხდება ძალიან მალე პასუხისმგებლობა და მათ ნამდვილად არც ერთი ქვეყანა არ შეიფარებს. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული და თუ პოლონელებს რამე კიდეც გაუგზავნეს, ჯერ ერთი, ისინი იძახიან, რომ არაფერი მიუღიათ, რომც მიიღონ, დარწმუნებული ვარ, პასუხსაც საკადრისს გასცემენ, არა მხოლოდ პოლონეთში, ნებისმიერ სხვა ევროპულ ქვეყანაში.

ის, რომ ორი ოლიგარქი გარიგდა ფულის გამო და პუტინის შიშის და რიდის გამო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრძოლას შევწყვეტთ ან ვინმე მათ კაპრიზებს დააკმაყოფილებს, – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

# „პუტინის ვიზიტი აფხაზეთში ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაციის მცდელობაა“

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველო 8 აგვისტოს კიდევ ერთხელ გაამწარა – ომის დაწყების 9 წლის თავზე ის ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვია. წესით და რიგით, ის ცხინვალის რეგიონში უნდა ჩასულიყო, რადგანაც 2008 წლის 8 აგვისტოს ომი სწორედ ამ რეგიონში მიმდინარეობდა.**

პუტინის აფხაზეთში ჩასვლის ამბავი კრემლმა აგვისტოს დასაწყისში „გვახარა“. აღსანიშნავია, რომ ეს განცხადება საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს დაამთხვიეს. თბილისში დარწმუნებულები არიან, აფხაზეთში ჩასვლით პუტინმა ქართველები დასაჯა.

პუტინი აფხაზეთში იქაურ პრეზიდენტსა და მინისტრებს შეხვდა. შეხვედრები სოხუმის ნაცვლად ბიჭვინთაში გაიმართა. ეტყობა, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩისთვის ბიჭვინთის ჰაერი ამ ეტაპზე მისწრებაა.

ოკუპირებულ აფხაზეთში პუტინის ვიზიტი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაგმეს.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, პუტინის ვიზიტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაციის მცდელობაა:

– 8 აგვისტოს, როდესაც საქართველოს მხარეში, აფხაზეთში იმყოფება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ეს არის სრულიად უშედეგო მცდელობა, რაიმენაირად მოხდეს ისტორიული უსამართლობის ლეგიტიმაცია, რაიმენაირად გამართლდეს 2008 წლის ჯერ ოკუპაცია და შემდეგ გადაწყვეტილება, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

ამ მცდელობის პასუხად ჩვენებური თავის რუს კოლეგას შემდეგს პასუხობს:

– ამ მცდელობებს პასუხად მე მინდა ვუთხრა, რომ არასდროს, არც ერთი ქართველი არ ცნობს ოკუპაციას. არასდროს არანაირი ხელოვნური მავთულხლართები, თხრილები და მოგონილი საზღვრები არ გაყოფს მთლიანობას და ურყევობას ჩვენი ქვეყნისა.

ჩვენ არაერთხელ გაგვივლია ეს და საქართველო ყოველთვის გამოსულა გამარჯვებული. ჩვენი სახელმწიფოებრიობა უძლიერეს იმპერიებს ვერ შეურყევია. არანაირი ახალი ამბავი, ან ახალი რეალობა, ან ახალი გამართლება ამ ჭეშმარიტებას არ შეცვლის. 2008 წელს კი არა 1921 წელს ქართველმა ბოლშევიკებმა მთელი საქართველო გადაუფორმეს საბჭოთა კავშირს და შულავერები და ორჯონიკიძეები ამა ქვეყნისა ზეიმობდნენ თბილისზე წითელი დროშის აღმართვას, მაგრამ მათ ვერ გატეხეს ქართველი ხალხი და ჩვენ მაინც ბოლოს მივაღწიეთ დამოუკიდებლობას.

პუტინის ქმედებით აღშფოთებული პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო აუცილებლად გამთლიანდება.

– მე მინდა ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას და პირველ რიგში დევნილ მოსახლეობას, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნება, პირველ რიგში, არის ჩვენს სიმტკიცესა და ურყევობაში. არაფრისდიდებით არ შეიძლება აყოლა არავითარ იდეაზე, თითქოს საქართველო რაიმენაირად იყოს გაყოფილი, ან რაიმე ფორმით შერყეული. საქართველო არის მთლიანი, საქართველო არის მტკიცე. ასე იქნება და ამითი ჩვენ მივაღწევთ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

კრემლის მამასახლისის ქმედებები სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმაც დაგმო.

– რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის აფხაზეთში 8 აგვისტოს ვიზიტი – ამ ძალიან ტრაგიკულ დღეს, საქართველოში რუსული აგრესიის 9 წლისთავზე, არის ძალიან ღია გზავნილი, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას აგრძელებს და ზრდის ამ ტერიტორიებზე ექსკლუზიურ კონტროლს, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, ხელისუფლება ომის შედეგებთან და ოკუპაციასთან შეგუებას არ აპირებს.

– ჩვენი გზავნილი და ჩვენი პასუხი არის ძალიან ცალსახა – ჩვენ არ შევეგუებით ოკუპაციას, 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის განმავლობაში ადამიანებმა ქვეყნის თავისუფლებისათვის სიცოცხლე გაწირეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ მოცემულობასთან შეგუებას არ ვაპირებთ. ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ დეოკუპაციის პოლიტიკას. ეს იქნება მშვიდობიანი გზა, ჩვენი მშვიდობიანი ბრძოლა, რადგან აღარ დავკარგოთ ახალი სიცოცხლე. ჩვენ განვითარებითა და ქვეყნის გაძლიერებით უნდა დავუპირისპირდეთ განგრძობად ოკუპაციას, – აღნიშნა ციხელაშვილმა.



რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც შეაჩვენა. სამინისტროს განცხადებით, ეს ვიზიტი საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვის გამიზნული პოლიტიკის გაგრძელებაა.

– 2008 წელს, საქართველოში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის დღეს, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში „ვიზიტი“ წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვის გამიზნული პოლიტიკის გაგრძელებას.

აგვისტოს ომის მე-9 წლისთავზე მსგავსი ცინიკური ქმედება ემსახურება სამხედრო აგრესიის, ეთნიკური წმენდისა და ოკუპაციის გზით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილების დაკანონებას რუსეთის მხრიდან. ამ ნაბიჯით კრემლი ასევე უშედეგოდ ცდილობს თავისი საოკუპაციო რეჟიმების მხარდაჭერასა და ლეგიტიმაციას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევით რუსეთის პრეზიდენტის „ვიზიტს“ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში, რომელიც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებები საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და პატივი სცეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს მოსკოვის აგრესიულ ნაბიჯებს და ქმედითი ზომები მიიღოს, რათა რუსეთის ფედერაციამ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, – აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აღდგება“

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მთლიანობაში, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. „ახალი თაობა" ამ საკითხებზე ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას**

**„რუსეთს ყველაზე მეტად თავისი ოლიგარქების ქონებაზე გამოძიების შედეგების დადება აშინებს“**



**შოთა მალაშხია:**

– აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი უმნიშვნელოვანესია. მან გაახმიანა ისეთი გზავნილები, რომლებსაც ბევრი ჩვენგანი წარმოვთქვამდით. ხმამაღლა გაცხადდა, რომ საქართველოს რეგიონები ოკუპირებულია და ოკუპანტმა პასუხი უნდა აგოს. ესაა სწორი და სამართლებრივი მიდგომა, იმის დანახვა, რომ გრძელდება მცოცავი ოკუპაცია, სახელმწიფოებრიობას კი საფრთხე ექმნება. ესაა ის, რაც დიდი ხანია, საერთაშორისო დონეზე უნდა თქმულიყო. ეს მიდგომა განსხვავდება „ქართული ოცნების“ პოლიტიკისაგან, რომელიც ოკუპანტის არგაღიზიანებასა და კაპიტულაციაზე ააგეს.

***– პენსის გზავნილების შემდეგ არ შეცვლილა ეს პოლიტიკა?***

– ახლა უკვე სხვა გზა აღარ დარჩა. ამის შემდეგ პრორუსულ პარტიებსა და ჯგუფებს საქართველოში არანაირი გასავალი აღარ აქვთ. ვინაა ამ პროცესის აქტიორი და ვინ ასრულებს რუსეთის დაკვეთებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. რუსეთს ცუდი დღეები უდგას. მას სანქციები გაუმკაცრეს. ეს სანქციები მას გარკვეულ ზარალს მოუტანს, მაგრამ გამანადგურებელ დარტყმას ვერ მიაყენებს. რუსეთს ყველაზე მეტად თავისი ოლიგარქების ქონებაზე გამოძიების შედეგების დადება აშინებს.

***– რასაც აშშ აპირებს?***

– დიახ. დაახლოებით 6 თვეში გამოქვეყნდება, რა გზით იშოვეს უზარმაზარი ფული ოლიგარქებმა რუსეთში. მათ შორისაა ბიძინა ივანიშვილი. აშშ-ის ერთი სპეცსამსახურის ერთწლიანი ბიუჯეტი იმხელაა, რომ საქართველოს ერთი წლის მთლიან შიდა პროდუქტს უდრის. წარმოიდგინეთ, რა შესაძლებლობები აქვს თუნდაც ერთ ასეთ სამსახურს და როგორი დასკვნა დაიდება! მით უმეტეს, რომ ასეთი სამსახურების რაოდენობა 7-მდეა. რამდენიმე თვეში მსოფლიო შეიტყობს იმ უმდიდრესი ადამიანების ქონების წარმომავლობას, რომლებიც რუსეთში საქმიანობენ ან საქმიანობდნენ. რუსეთთან ერთად შავი დღე დაუდგებათ მის აქაურ წარმოგზავნილებს. მათი მთავარი საზრუნავი საკუთარი ტყავისა და ქონების გადარჩენა იქნება. ყალიბდება პირობები „ქართული ოცნების“ სახლში გასაშვებად. მსოფლიოში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება. ოკუპაცია, ომი, გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, არავის შერჩება. ხომ უნდა დაისაჯოს ის, ვინც აფხაზეთში ამდენი სისასტიკე ჩაიდინა! ჩაწერილი მყავს მოწმეები, რომლებიც ყვებიან, როგორ ყრიდნენ ჭაში ცოცხალ ადამიანებს, შემდეგ კი მიწას ბულდოზერით ასწორებდნენ, როგორ აუპატიურებდნენ მამების თვალწინ შვილებს. 30 000 ადამიანი ჩვენ აფხაზეთში ცოცხლად დავკარგეთ. აქედან 20 000 მშვიდობიანი მოქალაქე იყო. აღარაფერს ვამბობ აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობაზე. ამაზე ჯერ პასუხი არავის უგია. სააკაშვილს აბრალებენ 2008 წლის მოვლენებს. ვინც ამას ამბობს, ვეკითხები – 1801 წელს, ან აფხაზეთის ომის დროს სააკაშვილი იყო დამნაშავე იმაში, რაც რუსეთმა საქართველოში ჩაიდინა, ან უკრაინაში აკეთებს?

***– „ქართული ოცნების“ მოახლოებული პოლიტიკური აღსასრული ახსენეთ. ადგილობრივი არჩევნებისას ეს არარეალური არ არის? თუ თბილისში მეორე ტური შეიტანს გარდატეხას სიტუაციაში?***

– არარეალური არ არის. ხალხი ითმენს, მაგრამ მას უგროვდება პროტესტი არა მარტო ოკუპაციის, არამედ სიღარიბის, ეკონომიკის ჩავარდნის, კორუფციის მიმართ. შეიძლება ამან ერთ დღეს იფეთქოს და ეს არჩევნების მეორე ტურამდეც მოხდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ თბილისში მეორე ტურმა შეცვალოს სიტუაცია. ეს მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ ყველა გაერთიანდება „ქართული ოცნების“ კანდიდატის წინააღმდეგ და მხარს დაუჭერს მის კონკურენტს.

***– ეს შესაძლებელია?***

– მეორე ტური აუცილებლად იქნება. თუ მართლა ოპოზიცია გქვია და მოსყიდული არა ხარ, მაშინ მხარი უნდა დაუჭირო ოპოზიციონერს! „ქართული ოცნება“ ყველა საკითხში მარტოა დარჩენილი. ეს კარგად ჩანს კონსტიტუციის ცვლილებაშიც.

***– სექტემბრის დასაწყისში საკონსტიტუციო საკითხებზე ვენეციის კომისიის ინიციატივით „ქართული ოცნება“ ოპოზიციას ხვდება. ამ შეხვედრისგან არაფერს ელით?***

– კონსტიტუციის შესწორების პროექტი „ქართულმა ოცნებამ“ ორი მოსმენით მარტომ მიიღო. მესამე მოსმენისას სერიოზული ცვლილებები არ შედის.

***– ხომ შეიძლება, მეორე მოსმენა ხელახლა გაიმართოს და ცვლილებები მოხდეს?***

– ეს რომ დავიჯეროთ, მმართველმა პარტიამ უნდა განაცხადოს, რომ დათმობაზე წავა, უნდა განმარტოს, რას შეცვლის. არ ჩანს, რომ ხელისუფლება აპირებდეს 2020 წლისთვის პროპორციული სისტემის შემოღებას, პრეზიდენტის პირდაპირი წესის არჩევის საბოლოოდ დატოვებას და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამიტომ, ოპოზიციის ჩასვლას სტრასბურსა თუ ბრიუსელში აზრი ეკარგება. ასეთი ამაო სიარული ხალხის ფულის ფლანგვაა. თუ რომელიმე პარტია უცებ გამოვა და კონსტიტუციის პროექტს მიემხრობა, ეს ამ ძალის პრობლემა იქნება. ამას მხოლოდ ნაყიდი ე. წ. ოპოზიცია დათანხმდება.

# „ცხინვალიდან ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემი მანქანით გამოვიყვანე“

## გურამ ვახტანგაშვილი: „ჯარმა იარაღი თბილისიდან მოსული ბრძანების საფუძველზე დაყარა“

გულიკო ბალაძე

2008 წლის 8 აგვისტოს ომის ქარცეცხლში იყო პარლამენტის ყოფილი წევრი გურამ ვახტანგაშვილი. „ახალი თაობა“ მას ერგნეთში მყოფს დაუკავშირდა.

***– როცა 8 აგვისტო გახსენდებათ, პირველ რიგში, რა გიდგებათ თვალწინ?***

– თვალწინ მიდგება, ხალხი რომ ტიროდა და მოსახლეობისაგან რომ იცლებოდა ჩვენი სოფლები, როგორც პატარა, ისე დიდი ლიახვის ხეობა. იყო დაბომბვები და გვყავდა დაჭრილები. ყველაზე დიდი დაბომბვები 8 აგვისტოს იყო. ჯერ ცხინვალში ჩვენი ჯარი დაბომბეს, შემდეგ კი მოსახლეობის დაბომბვა დაიწყეს. 8 აგვისტოს გახსენებაზე ომი და უბედურება მახსენდება.

***– თქვენ მომსწრე ბრძანდებით იმისა, თუ როგორ ტოვებდნენ ხელმძღვანელები ქართული მხრიდან პოსტებს და როგორ გამორბოდნენ.***

– 8 აგვისტოს დიდი ლიახვის ხეობის ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებიდან აღარავინ იყო. პატარა ლიახვის ადმინისტრაცია 9-შიც ადგილზე იყო. დიდი ლიახვის ხეობის ადმინისტრაცია 8-ში იძულებული შეიქმნა, დაეტოვებინა იქაურობა, ტანკები შემოდიოდნენ. პატარა ლიახვის ხეობაში რუსულმა ტანკებმა 11-12 აგვისტოდან დაიწყეს შემოსვლა.

***– მე უფრო თბილისიდან ჩამოსულ ხელმძღვანელებზე გეკითხებით. მინდა საზოგადოებას შევახსენოთ, ვინ იყვნენ ისინი და როგორ მიატოვეს ხალხი მტრის ტანკებთან პირისპირ ისე, რომ უკანდახევის გეგმა არ აუმოქმედებიათ და მტრის შესაჩერებლად არც ერთი მიჯნა არ გაუკეთებიათ.***

– თბილისიდან ჩამოსული ხელმძღვანელებიდან 8-11 აგვისტოს ხელისუფლებიდან არც პატარა და არც დიდი ლიახვის ხეობაში კაციშვილი არ იყო. არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი არ ჩამოსულა, რომ რაიმე ორგანიზება გაეწიათ – ან ავტობუსები შემოეყვანათ ხალხის გამოსაყვანად, ან მანქანები. ამ საშინელ



დღეებში არც გუბერნიიდან, არც ცენტრალური ხელისუფლებიდან არავინ ყოფილა.

***– როგორც ვიცი, მანამდე თქვენ ნახეთ, როგორ გამოიქცნენ ზოგიერთები იქიდან.***

– მანამდე, ერთადერთი, ჯარების სარდალი ყურაშვილი შემოდიოდა ხეობაში (8-9 აგვისტოს) და გადიოდა.

***– მსმენია, რომ ახალაია და მაშინდელი სხვა ხელმძღვანელები ჩასხდნენ და წამოვიდნენ.***

– ჩასხდნენ კი არა, ჩემი მანქანით გამოვიყვანე. 8 აგვისტოს სოფელ არცევში სამშვიდობოებმა გზა გაუხსნეს და ერედვში ჩვენი სპეცნაზი შემოვიდა. 300 კაცი იყო კბილებამდე შეიარაღებული. დაბომბვები რომ დაიწყო, ზუსტად იმ ტერიტორიაზე იყვნენ, რომელიც იბომბებოდა. მე ვუთხარი, აქ ნუ დგახართ-მეთქი, ჩავსხი და სოფლის განაპირას გამოვიყვანე. გამოვედით თუ არა იქიდან 300 კაცი, ზუსტად იმ ადგილზე ბომბი ჩამოვარდა და 8 ადამიანი იმსხვერპლა. ის ხალხი იქიდან რომ არ გამომეყვანა და სოფლის ბოლოში არ გამეყვანა, ფაქტობრივად, ყველა ბომბის ქვეშ მოყვებოდა და ძალიან დიდი მსხვერპლი იქნებოდა.

***– თქვენი მანქანით ვინ გამოიყვანეთ?***

– ძმები ახალაიები და გენერალი თავთუხაშვილი იყვნენ, გზა ვასწავლე, იმ გზას გაყევით-მეთქი.

***– მუდმივად მიჩნდება კითხვა, მოსახლეობა რატომ არ გახიზნეს?***

– როგორ გითხრათ, რატომ არ გახიზნეს. რა გითხრათ გამწარებულმა კაცმა – არც ერთი მანქანა არ შემოსულა, რომ მოსახლეობა გამოეყვანა ბომბების წვიმიდან. მანქანა ყველას ხომ არ ჰყავდა, ხალხი ფეხით წამოვიდა. წარმოიდგინეთ, შემოვლით გზაზე, გორაზე ფეხით გადმოსვლა და იქიდან კიდევ ფეხით ჩამოსვლა.

***– სათანადოდ ორგანიზებული რომ ყოფილიყო ომი, ან უკანდახევა, შესაძლებელი იყო სოფლებზე კონტროლის შენარჩუნება, რაღაც დონეზე მტრის გაჩერება?***

– 100%-ით. 1990 წლიდან ომში ვარ, არც ერთი ომი და არც ერთი შეტაკება არ გამომიტოვებია, რაც ხეობებში ხდებოდა. ჩვენი ჯარი 5 დღე რომ გაჩერებულიყო და ბრძანება არ მიეღოთ, რომ გამოსულიყვნენ ხეობებიდან, იმ სოფლებზე ცონტროლს შევძლებდით, რომელსაც აქამდეც ვაკონტროლებდით.

ერედვსა და პატარა ლიახვის ხეობაში 11-12-ში შემოვიდნენ ტანკები. პოლიციის პოსტები კი 8 აგვისტოს უკვე მოხსნილი იყო, ჯარი გამოსული გახლდათ, მოსახლეობას რა უნდა ექნა?

ხალხის გამოყვანა ორგანიზებული რომ ყოფილიყო, მოსახლეობაში არანაირი მსხვერპლი არ იქნებოდა. ყველა მოსახლე გაყვანილი იქნებოდა, ამას პლუს მეთაური კარგი რომ ყოფილიყო, სათანადო ორგანიზება მომხდარიყო და 1 კვირა რომ გაგვეძლო, უცხოეთი (ამერიკა და ევროპა) ჩაერეოდა და ვინც რა ტერიტორიას ვაკონტროლებდით, ის ტერიტორია მაინც შეგვრჩებოდა. ცხინვალს ვერ ავიღებდით, მაგრამ იმ სოფლებზე კონტროლს შევინარჩუნებდით, რომლისთვისაც 25 წელი ვიბრძოდით და ვიცავდით.

ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნებოდა დიდი ლიახვის ხეობა მათთვის სტრატეგიული ადგილი, ცხინვალიდან ჯავამდე სტრატეგიული გზა იყო და შეიძლება ყველანაირად ებრძოლათ მის დასაკავებლად და დაეკავებინათ. ასევე შეიძლება თამარაშენი აეღოთ, მაგრამ პატარა ლიახვის ხეობა და ახალგორი მაინც დაგვრჩებოდა.

***– ბრძანება იქაურების დატოვების თაობაზე თბილისიდან გაიცა, პოსტები დატოვეთ და თბილისში დაბრუნდითო თუ, უბრალოდ, უმეთაურო ჯარი წამოვიდა?***

– ბრძანება თბილისიდან გაიცა, ისე პოსტებს ხომ ვერ მიატოვებდნენ. პოლიცია ემორჩილება ბრძანებას. ჩვენთან, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, პოლიციის ბლოკ-პოსტები იყო. აღნიშნული პოსტები 8 აგვისტოს მოიხსნა. ფრისთან და კიდევ რამდენიმე ადგილზე ჰქონდათ ბლოკ-პოსტები და მოიხსნა. ფაქტობრივად, მტერს არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა, ბლოკ-პოსტები მოხსნილი გახლდათ (აგერ პოლიციელები მიდგანან გვერდით, მისმენენ და მიდასტურებენ, რომ ასე იყო).

ბლოკ-პოსტებზე ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებლები იდგნენ, რომლებიც 20-25 წელი ომში და უბედურებაში იყვნენ და თავისი ნებით პოსტებს არ მიატოვებდნენ. ე.ი. ბრძანება პოსტების და დატოვების შესახებ თბილისიდან, ან გორიდან ჰქონდათ.

როგორც კოდორთან დაკავშირებით გასცეს ბრძანება, დაყარეთ ყველაფერი და წამოდითო, ისე მოხდა აქაც.

***– რას აბრალებთ ხელმძღვანელობის ასეთ ქმედებებს, მოუმზადებლობას. შეიძლება უნდოდა ცხინვალის დაბრუნება, მაგრამ ასე მოუმზადებლად და კოდორის უბრძოლველად ჩაბარებით? სააკაშვილმა ქვეყანა ლამის მთლიანად უფსკრულში გადაჩეხა.***

– 2007 წლის ნოემბრისა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილს უნდოდა თავისი პერსონის რეაბილიტაცია მოეხდინა. უნდოდა ცხინვალი აეღო და საქართველოს მოსახლეობის თვალში გმირად გამოჩენილიყო, მაგრამ ოსებმა და რუსებმა მოატყუეს, რადგან სამშვიდობოებმა ბლოკ-პოსტებზე შლაგბაუმები აწიეს და ჩვენი ჯარი შეუშვეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მამუკა არეშიძე: „რუსეთის წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქციები უნდა დაწესდეს“

ნათია ხურცილავა

**ექსპერტი მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობს.**



***– ბატონო მამუკა, 8 აგვისტოს, ომის დაწყების დღეს, პუტინის აფხაზეთში ჩასვლა რამდენად არის ერთგვარი გზავნილი?***

– რასაკვირველია, ეს სერიოზული გზავნილი არის, მაგრამ გზავნილი არა მხოლოდ საქართველოსადმი და მისი ხელისუფლებისადმი, არამედ უფრო მეტად ეს არის გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ეს არის პენსის ვიზიტის პარალელური ვიზიტი. რაც არ უნდა ზეწოლა იყოს, რუსეთი თავისას არ მოიშლის, თავის მიზნის მისაღწევად ბოლომდე გააკეთებს ყველაფერს. ის ვერ შეეგუება სამხრეთ კავკასიის დათმობას.

***– მიუხედავად დასავლეთის ზეწოლისა?***

– ცხადია. რუსეთს აქვს სტრატეგიული გეგმა ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ამ გეგმას ის არ დათმობს.

***– წინა ხელისუფლების პოზიცია ცნობილია, ამ ხელისუფლებას თუ აქვს ტაქტიკა შემუშავებული, რომ თუნდაც მცოცავი ოკუპაცია შეაჩეროს?***

– ყოფილ ხელისუფლებასაც და ამ ხელისუფლებასაც გარკვეული მიდგომები ჰქონდა ამ პრობლემის მიმართ. წინა ხელისუფლების დროს გარკვეული სტრატეგია შემუშავებულ იქნა სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის ხელმძღვანელობით. იაკობაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ მან ამ სტრატეგიის შემუშავებაში ჩართო ყველა შიდა ექსპერტი, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, ხელისუფლების მომხრე იქნებოდა თუ არა. თავისთავად ეს კარგი ნაბიჯი იყო, ასეთმა მიდგომამ შედეგი გამოიღო. დაიდო დოკუმენტი, რომელიც მაშინ ოპოზიციას არ გაუპროტესტებია, რადგან თავად ოპოზიციის წარმომადგენლებიც იღებდნენ მის შემუშავებაში მონაწილეობას.

რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას, ცხადია, მასაც აქვს მიდგომა, მაგრამ ის დოკუმენტი, რომელიც უკვე არსებობს, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა, ამ დოკუმენტის გადამუშავება ნამდვილად შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ხელისუფლება ცდილობდა, რუსეთთან კონტაქტების მეშვეობით ამ ურთიერთობების ნორმალიზება მოეხდინა და ამ გზით მოეგვარებინა პრობლემა, შესაბამისად, პირველი რიგის ამოცანა არ იყო სტრატეგიის შემუშავება.

***– დღეს იგივე პოლიტიკას აგრძელებს ხელისუფლება თუ შეიძლება პოზიცია შეცვალოს? კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ პირველ რიგში მშვიდობა იქნას შენარჩუნებული.***

– რასაკვირველია, მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს. თუმცა, კონკრეტულად ის სამინისტრო, რომელსაც ციხელაშვილი ხელმძღვანელობს, ნაკლებად აქტიურია, ვიდრე ეს შეიძლება იყოს.

***– დეოკუპაციის საკითხი იმდენად გლობალური პრობლემაა, რომ მხოლოდ ერთი სამინისტროს დონეზე რამდენად შეიძლება ამაზე საუბარი?***

– დიახ, სწორია, არა მხოლოდ ერთი სამინისტროს, არამედ ზოგადად საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევასაც კი აღემატება, იმდენად გლობალურ და რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. თუმცა, აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი, ყოფილ მინისტრს ზაქარეიშვილს ჰქონდა კონტაქტები, კარგი დამოკიდებულება, მას პირადად იცნობდნენ აფხაზები, კარგი გამოცდილება ჰქონდა ამ კუთხით, აფხაზებთან უშუალო კომუნიკაციის.

***– თუმცა, ზაქარეიშვილმა რამდენად ადეკვატურად გამოიყენა ეს კონტაქტები მინისტრობის დროს? ხშირად ექსპერტები აცხადებდნენ, რომ მეტის მოლოდინი ჰქონდათ ამ მიმართულებით. რაც გააკეთა, იყო ის, რომ სამინისტროს სახელი გადაარქვა.***

– ზაქარეიშვილი იმ პერიოდში ვერ იაქტიურებდა, რადგან საქართველოს ხელისუფლების ზოგადი მიდგომა ამ პრობლემის მოგვარების მიმართ სხვა იყო. მაშინ ხელისუფლებას ჰქონდა აღებული პოლიტიკა, რომლითაც პირდაპირ უნდა გასულიყო რუსეთზე. მაშინ ზაქარეიშვილს რომ ეაქტიურა, მის ზედმეტ აქტიურობას შეიძლება ამ საერთო სტრატეგიისთვის ხელი შეეშალა. დღეს სიტუაცია არის შეცვლილი და აქედან გამომდინარე შეიცვალა ტაქტიკაც. ამიტომ ვამბობ, რომ უნდა შეიცვალოს მიდგომებიც. ბევრად უფრო აქტიური უნდა გახდეს ეს მიდგომები. მაგალითად, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩვენი თანამოქალაქეებისთვის ჯანდაცვის პროგრამის პარალელურად შეიძლება კიდევ სხვა პროგრამები ავამოქმედოთ და ამით დავაინტერესოთ ისინი. სხვა ბევრი საკითხი არის, რომელიც უნდა ავამოქმედოთ.

***– ბატონო მამუკა, რამდენად ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სანამ პუტინი არის რუსეთის სათავეში, ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. თუ ფიქრობთ, რომ გარკვეულის მიღება შესაძლებელია?***

– მე არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ სანამ პუტინი არის რუსეთის სათავეში, შეუძლებელია ეს პრობლემა მოგვარდეს. პუტინი ატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც ჯერ კიდევ ივანე მრისხანემ დაიწყო. აქ მთავარი არის ის პოლიტიკა, დამპყრობლური, იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არის შემუშავებული რუსეთში.

ამ პოლიტიკას პუტინმა, რასაკვირველია, კარგად აუღო ალღო გორბაჩოვისგან განსხვავებით. პუტინმა გააგრძელა ის ხაზი, რომელიც ჰქონდა ივანე მრისხანეს, პეტრე დიდს და ა.შ. ამიტომ, ახლა საქმე იმდენად პუტინში კი არ არის, რამდენადაც რუსეთის ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭებაში, ეკონომიკური განვითარების შეჩერებაში, რომელიც მაშინ მოახერხა დასავლეთმა, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა.

***– ამერიკის, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები არ არის ამის ადეკვატური?***

– არის, მაგრამ საკმარისი არ არის. სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას გარკვეული ზიანი მიაყენა, მაგრამ უფრო მეტია საჭირო ამ მიმართულებით. მაგალითად ისეთი, რაც თავის დროზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანს, მის საბანკო სისტემას გაუკეთა. ამ სისტემის ამოქმედების შემთხვევაში რუსეთის ეკონომიკა კოლაფსში ჩავარდებოდა.

# „ცხინვალიდან ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემი მანქანით გამოვიყვანე“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ანუ მახე იყო?***

– რაღაც მოლაპარაკება იყო ალბათ. მე მგონია, რომ მოლაპარაკება იყო, რადგან ასე ხალხზეც უნდა იფიქრო და პასუხისმგებლობაზეც.

***– ქართული სოფელი თამარაშენი რომ იყო ცხინვალთან ახლოს, რუსებმა რომ გადაწვეს და ბულდოზერებით გადაასწორეს, რა გააკეთეს?***



– სოფელი გადაწვეს, ბულდოზერებით გადაასწორეს და სამხედრო ბაზა გააკეთეს. ცოტა ახლოს თუ მიხვალთ, ჩანს, ბაზა რომ არის გაკეთებული.

***– ამბობენ, სააკაშვილმა რომ შექმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია“ და მოუხაზა ტერიტორია, იმას უყენებენ და იმ ე.წ. საზღვრებში ცდილობენ რუსები და ოსები ტერიტორიის მისაკუთრებას.***

– თავის დროზე გამსახურდიამ ოლქი კი არ გააუქმა, ოლქი თვითონ ოსებმა გააუქმეს და რესპუბლიკა შექმნეს. რესპუბლიკა გამსახურდიამ გააუქმა. 2007 წელს სააკაშვილმა აღადგინა ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციულ საზღვრებში, დროებითი ადმინისტრაცია სანაკოევის მეთაურობით და ახალგორიც შეიყვანა მასში.

***– მით უმეტეს, რომ ჩვენ ვაკონტროლებდით. ახლა სააკაშვილის დადგენილებას სათავისოდ იყენებენ.***

– სათავისოდ 2007 წლის დადგენილებასაც იყენებენ და ძველი ოლქის რუკებსაც. ეს დადგენილებაც რომ არ ყოფილიყო, ისინი მაინც ასე მოიქცეოდნენ.

იყო მეღვრეკისის ბლოკ-პოსტზე, რომელიც გამაგრებული ჰქონდათ ოსებს და რუსებს, ჩვენი ჯარი გაატარეს. არცევისკენ ყველა პოსტებზე, აწიეს შლაგბაუმები და ჩვენი ჯარი შეუშვეს. ფაქტობრივად, ჩვენები ცხინვალში შეიტყუეს. ცხინვალი კიდევ საერთოდ მოსახლეობისაგან დაცლილი იყო.

***– ფილმს ვუყურე, სადაც ერთმა პირმა კომენტარისას განაცხადა, რომ მოსახლეობა გაჰყავდათ ცხინვალიდან, ანუ წინასწარ მათთვის ცნობილი იყო, რომ ომი უნდა დაწყებულიყო.***

– ერთი-ორი კვირით ადრე იყო ცნობილი.

***– ე.ი. მოსახლეობა გაჰყავდათ. იმაზე არ უნდა დაფიქრებულიყვნენ ხელმძღვანელობაში, რომ ცხინვალში სერიოზულად ემზადებოდნენ ჩვენთან შესაბრძოლებლად და არ შესულიყვნენ იქ?***

– როგორ არ უნდა დაფიქრებულიყვნენ.

***– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი რატომ არ დაფიქრდა, რატომ ჩაყარა ხალხი უბედურებაში?***

– არ ვიცი. ხელმძღვანელი რომ ხარ,

# ჰააგის სასამართლო: „აგვისტოს ომის გამოძიების პროცესში რუსეთის და ცხინვალის ჩართვა რთული აღმოჩნდა“




სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების საქმეში კონფლიქტის ყველა მხარის ჩართულობის აუცილებლობაზე საუბრობენ. ცნობილია, რომ რუსეთმა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე საწყის ეტაპზევე უარი თქვა.

IXX-ის პრესსპიკერ ფადი ელ აბდალას განცხადებით, ძალისხმევის მიუხედავად, აგვისტოს ომის გამოძიების პროცესში რუსეთის ფედერაციისა და „სამხრეთ ოსეთის“ ჩართვა რთული აღმოჩნდა.

ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

– საქართველოს მთავრობისაგან თანამშრომლობა ახლო პერსპექტივაშია. სამწუხაროდ, ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციისა და „სამხრეთ ოსეთის“ პროცესში ჩართვა რთული აღმოჩნდა. თუმცა, პროკურორის ოფისმა ხაზი გაუსვა, რომ გამოძიება ამის მიუხედავადაც გაგრძელდება. პროკურატურის საგამოძიებო სამუშაო ნაკარნახევია დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მთავარი პრინციპებით. პროკურორ ფატუ ბენსუდას ოფისი აგრძელებს ამ პრინციპებით ხელმძღვანელობას საქართველოს შემთხვევაშიც.

ოფისი ასევე გააგრძელებს გამოძიების ალტერნატიული გზების გამოყენებას, მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ეს არ არის უნიკალური შემთხვევა, პროკურატურა წარსულშიც არაერთხელ წარმატებით გამკლავებია მსგავსი სირთულის გამოძიებებს, – განაცხადა ფადი ელ აბდალამ.

ცნობისათვის, ჰააგის სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ გამოძიების დაწყებაზე ნებართვა 2016 წლის იანვარში მიიღო. საქმე ეხება 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. პრესსპიკერ ფადი ელ აბდალას თქმით, მანდატის გათვალისწინებითIXX-ის რეგისტრატურა პასუხისმგებელია მოწმეების დაცვის, განაჩენის აღსრულებისა თუ პალატის ბრძანებების შესრულების საკითხებზე, მათ შორის დაკავების ორდერის აღსრულებასა და აქტივების გაყინვაზე.

**მედიანიუსი**

# ცესკომ „გირჩს“ უარი უთხრა არჩევნებში მონაწილეობაზე

## პარტია განმარტებებს ითხოვს

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ მიერ წარმოდგენილი 27,990 ხელმოწერიდან 27.977 ბათილად ცნო. ამის შესახებ პარტიამ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე დაწერა.

„გირჩის“ განცხადებით, საეჭვოა ამდენი ხელმოწერის შემოწმება ნახევარ დღეში და შესაბამისად, მოითხოვა იმ მეთოდოლიგიის დასახელება, რომლითაც მოხდა მათი შემოწმება, ასევე ხელმოწერების ბათილად ცნობის მიზეზი.

– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მოგესალმებით,

7 აგვისტოს თქვენგან მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება, რომელშიც წერია, რომ ცესკომ 7 აგვისტოს გადაამოწმა „გირჩის“ მიერ წარმოდგენილი 27,990 ხელმოწერა და დაადგინა, რომ 27,977 არის ბათილი, ხოლო 13 არის ნამდვილი.

ანუ, ნახევარ დღეში ჩაატარეთ საკმაოდ მასშტაბური სამუშაო, ოფიციალური წერილიც მოამზადეთ და გადმოგვიგზავნეთ.

დავუშვათ, ხელმოწერების შემოწმება დაიწყეთ 09.00 საათზე და დაასრულეთ 17.00 საათზე, შემდეგ ნახევარ საათში მოამზადეთ შეტყობინება და 1 საათში ჩაგვაბარეთ (ჩაგვბარდა დაახლოებით 18.30 საათზე).

ანუ, საათში შეამოწმეთ დაახლოებით 3,500 ხელმოწერა, წუთში დაახლოებით 60 ხელმოწერა, წამში 1 ხელმოწერა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საოცარი ტემპია თუნდაც 3 შემმოწმებლისთვის (თუ, რა თქმა უნდა, ხელმოწერების ავტოსწრაფშემმოწმებელი არ არის გამოგონებული და ამის შესახებ ჩვენ ინფორმაციას არ ვფლობთ).

თქვენს შეტყობინებაში არ არის მითითებული, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა ხელმოწერების შემოწმება და რა მიზეზით იქნა ცნობილი ბათილად 27,977 ხელმოწერა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყანაში წლებია პოლიტიკური პარტიები სწორედ ასე მომზადებულ სიებს აბარებენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რეგისტრირდებიან და მონაწილეობას იღებენ არჩევნებში.

იქნებ საჯარო განცხადებით განგვიმარტოთ ეს ორი საკითხი:

1. შემოწმებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია.
2. ბათილად ცნობის მიზეზები.

ოფიციალურ მოთხოვნას იგივე ინფორმაციაზე დღესვე გადმოგვიგზავნით, – დაწერა „გირჩმა“ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე.

**მედიანიუსი**

# დავით ქაცარავა: „ოკუპაციის წინააღმდეგ მთელი ერი უნდა გაერთიანდეს“

ნონა ცაბაძე

**რუსული ოკუპაციის გასაპროტესტებლად ცენტრალურ მაგისტრალზე აქცია გაიმართა, საიდანაც საოკუპაციო ხაზი 400 მეტრში მდებარეობს. აქციის მონაწილეებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს, პატივი მიაგეს 9 წლის წინ, აგვისტოს ომში საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირებს. აქციის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ოკუპაციის წინააღმდეგ მთელი ერი უნდა გაერთიანდეს.**

„ახალი თაობა“ აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელს დავით ქაცარავას ესაუბრა.

***– ბატონო დავით, საზოგადოების ერთმა ნაწილმა გუშინ თავისი პროტესტი საოკუპაციო ხაზთან გამოხატა. ცოცხალი ჯაჭვი, დროშები, ბანერები... ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი თქვენ იყავით. რა იყო აქციის მთავარი გზავნილი?***

– ჩვენ აქციები დავიწყეთ 25 ივლისიდან. ძირითადი აქცია, რომელსაც ჰქვია სამშვიდობო – სადამკვირვებლო მისია, რომელიც არის სამოქალაქო და ეს გაგრძელდება მუდმივ რეჟიმში, სანამ რუსი ოკუპანტები არ წავლენ საქართველოდან! რაც შეეხება გუშინდელ აქციას, ეს აქციები ორი დღით ადრე მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო და ეს დაკავშირებული იყო 8 აგვისტოს თარიღთან. ბუნებრივია, ამ აქციაში ჩვენც ჩავერთეთ და შევქმენით ცოცხალი ჯაჭვი საზღვართან, საოკუპაციო ზოლთან. ეს ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა ყარაფილა-ხურვალეთის მონაკვეთზე. ამ გზით ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოხატა თავისი პროტესტი. გამვლელი ავტომანქანები ჩერდებოდნენ, აპროტესტებდნენ ოკუპაციას და ჩვენთან ერთად ცოცხალ ჯაჭვში დგებოდნენ. საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა შევიკრიბეთ.

***– რა იყო თქვენი გზავნილი?***

– ჩვენი გზავნილი არის ის, რომ ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით ვცდილობთ დავაფიქსიროთ ჩვენი მტკიცე და შეუვალი ნება იმისა, რომ ჩვენ გავაპროტესტებთ ყოველთვის და ვიქნებით მზად იმისთვის, რომ ჩვენი სამშობლოს საზღვრები დავიცვათ, რომელიც დღეს არის ოკუპირებული და სამწუხაროდ გადმოწეულია სიღრმეში.

***– თქვენ საუბრისას აღნიშნეთ, რომ სამოქალაქო მოძრაობა დაიწყეთ, პატრულირებთ საოკუპაციო ხაზთან, გაქვთ იმედი, რომ თქვენი აქტიურობა რაიმე შედეგს გამოიღებს? ხელისუფლებას სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს ამ ყველაფერთან.***

– დარწმუნებული ვარ, რომ გამოიღებს. ჩვენი სადამკვირვებლო მისია, ჩვენი მოძრაობა, ჩვენი მისია მომართულია საზოგადოების გამოღვიძებაზე. დროა გაიღვიძოს ჩვენმა საზოგადოებამ, რომლის დიდი ნაწილი ძალიან პასიურია და უიმედობაშია გადავარდნილი. ჩვენ აუცილებლად ვიქნებით აქტიურები.

***– აქტიურობაში რა იგულისხმება?***

– ჩვენ გამოვალთ ინტერნეტსივრციდან, რომელიც უბრალოდ გვაძლევდა საშუალებას, რომ ორთქლი გამოგვეშვა და იმ სივრცეში დავმშვიდებულიყავით. დამშვიდების დრო ნამდვილად არ არის, ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვაქვს იმის უფლება, რომ ვიყოთ მოდუნებულ მდგომარეობაში! მტერი გვიტევს ყოველდღე და გვართმევს მიწებს. მინდა გავახსენო ყველას ის 6-პუნქტიანი შეთანხმება, რომელიც გულისხმობდა რუსეთის ჯარების იმ დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებას, რაც იყო 2008 წლის 8 აგვისტომდე, რომელიც ირღვევა ყოველდღე. არანაირი დაბრუნება რუსეთის ჯარის მიერ პირვანდელ პოზიციებზე არ მომხდარა, პირიქით, საოკუპაციო ზოლი იწევს და იწევს ჩვენსკენ.

***– ამ ფორმის პროტესტი შედეგს გამოიღებს?***

– ვთვლი, რომ გამოიღებს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაპროტესტოთ შექმნილი სიტუაცია. ხმა უნდა მივაწვდინოთ საერთაშორისო საზოგადოებას და ვამცნოთ ის დარღვევები, რასაც რუსი ოკუპანტი აწარმოებს ყოველდღიურად. დროა საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ მიხვდეს, რომ ეს კონფლიქტი არ არის გაყინული! კონფლიქტი მიმდინარეობს ყოველდღიურ რეჟიმში. ეს რის ცივი ომის რეჟიმი და, შესაბამისად, ჩვენ მოდუნების საშუალება და უფლება ნამდვილად არ გვაქვს.

***– ბატონო დავით, სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოს, სადაც გიორგი ვაშაძესთან ერთად იმყოფებით საოკუპაციო ხაზთან, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. იყო პროტესტიც, რომ ვაშაძე სააკაშვილის თანაგუნდელია, სწორედ მისმა ხელისუფლებამ ჩააბარა რუსეთს ჩვენი ტერიტორიები და ასე შემდეგ. რით უპასუხებთ თქვენ ყოველივე ამას? თქვენს აქციებს სხვა შეფასებები ხომ არ მიეცემა?***



– ჩვენი მოძრაობის დევიზი არის – ძალა ერთობაშია! შესაბამისად, აბსოლუტურად ყველა ადამიანი, მიუხედავად თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პრეფერენციებისა, უნდა გაერთიანდეს ამ ბრძოლაში. თუ გიორგი ვაშაძეს აღიქვამთ, როგორც ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრად, იმავე წარმატებით, თქვენ შეიძლება ძალიან მალე ნახოთ ჩემი გადაღებული სურათი ან „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, ან ლეიბორისტული პარტიის წევრებთან ერთად.

***– ანუ პარტიულობას მნიშვნელობა არ აქვს?***

– ჩემთვის, ამ ბრძოლაში ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა პარტიულობას. აქ უნდა გავერთიანდეთ ყველა, ეს არის ზემისია! ეს არის ზემიზანი! ჩვენ თუ დავიწყებთ პოლიტიკური ნიშნის მიხედვით დაყოფას, რომ არ მომწონხარ იმიტომ, რომ ამ პარტიის წევრი ხარ, ან ამ პარტიის წევრი იყავი, შენ ისე რა მომწონხარ და ასე შემდეგ, მაშინ ჩვენ იმ პრინციპს, რასაც ჰქვია ძალა ერთობაშია, ჩანასახშივე უარვყოფთ. შესაბამისად ჩვენ ვამბობთ, ყველა ადამიანს, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება და მოვალეობა, გაერთიანდეს აი ამ ბრძოლაში! ყველამ უნდა დააფიქსიროს თავისი მკაცრი და შეუვალი პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ. შესაბამისად მე იმ ადამიანებს ვეტყვი, რომლებიც ასეთ შეფასებებს აკეთებენ, რომ აი ნახეთ, მათ გვერდით პოლიტიკოსები გამოჩნდნენ... პოლიტიკოსები გამოჩნდებიან და უნდა გამოჩნდნენ კიდევაც.

***– თქვენი მოძრაობა თუ მოიაზრება რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან?***

– ჩვენ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვუდგებით გვერდით. არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს არ გამოვხატავთ. ჩვენი მიზანი და ინტერესია, რომ ვიბრძოლოთ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, სადაც ყველა უნდა იყოს გაერთიანებული. მე ვთხოვ, მოვუწოდებ ყველა ადამიანს, დაივიწყოს თავისი შეხედულებები, ეს იქნება პოლიტიკური თუ ძველი წყენები, განსხვავებები პოლიტიკურ ხედვაში. მოდით დავივიწყოთ ეს ყველაფერი. თუ ჩვენ აქაც დავიწყებთ იმაზე საუბარს, რომ შენ მე მომწონხარ და შენი გვერდში მდგომი არ მომწონს, ზუსტად აქ დაგვამარცხებს მტერი! სინამდვილეში, ძალა არის ერთობაში! მით უმეტეს, როდესაც საუბარია ისეთ ზემიზანთან და ზემისიასთან, რასაც საქართველოს დეოკუპაცია ჰქვია! აქ ჩვენ ვივიწყებთ ყველაფერს და ვდგებით ერთად ამ ბრძოლაში, რაც ნიშნავს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციას!

***– როდესაც შეიქმნა თქვენი მოძრაობა და განაცხადეთ, რომ იწყებდით პატრულირებას, მოვისმინეთ შეფასებები, რომ ყოველივე ეს საკმაოდ პროვოკაციული ხასიათის მატარებელიაო. ამაზე რით უპასუხებთ? რამდენად თვლით, რომ მიდიხართ პროვოკაციაზე?***

– რას გულისხმობენ პროვოკაციაში?! ჩვენ ვდგავართ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჩვენ ვაკვირდებით იმ ქმედებებს, რასაც რუსეთის საოკუპაციო ჯარები ახორციელებენ. რა პროვოკაციაა ეს?! არავითარ პროვოკაციას ადგილი არა აქვს. ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ ჩვენს სახელმწიფოს იმ საინფორმაციო ომში, რომელიც მიმდინარეობს იმ რეჟიმში, როგორშიც მიმდინარეობს. ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტად გავააქტიუროთ საერთაშორისო საზოგადოება და დავაფიქსიროთ ჩვენი მზაობა იმისა, რომ ვიყოთ კონსტრუქციული ძალა. მე პროვოცირებას ნამდვილად არავის და არაფერს არ ვუკეთებ!

# საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 48.37%-ით არის გაზრდილი




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტების მიერ, რეგულარული და ჩარტერული რეისების შედეგად გადაყვანილ იქნა 2.129.121 მგზავრი, რაც 48.37%-ით (694.153 მგზავრით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემს (1 434 968 მგზავრი).

როგორც ეკონომიკის სამინისტროდან იუწყებიან, 2015 წლის 7 თვის მონაცემებთან შედარებით ზრდა 81.89%-ს (958 577 მგზავრით მეტი) შეადგენს.

– მგზავრთნაკადის ზრდის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტში:

2017 წლის 7 თვის განმავლობაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 503 636 მგზავრით მეტს მოემსახურა (სულ 1.658.366 მგზავრი), ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში (1.154.730 მგზავრი). შესაბამისად მგზავრთნაკადის ზრდის მაჩვენებელმა 43,62% შეადგინა;

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 86.48%-ით არის გაზრდილი. თუ წინა წლის 7 თვეში აეროპორტი 124.826 მგზავრს მოემსახურა, მიმდინარე წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 232.775 მგზავრი შეადგინა, რაც 107.949 მგზავრით მეტია;

გასული თვეების განმავლობაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 233.992 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 52.32% ით (80.369 მგზავრით) მეტია წინა

წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (153.623 მგზავრი), – აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში 3.988 მგზავრს მოემსახურა, რაც 2.199 მგზავრით, შესაბამისად 122.92%-ით მეტია, ვიდრე გასული წლის პირველ 7 თვეს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (1.789). ამბროლაურის აეროპორტმა კი წელს პირველად მიიღო მგზავრები და იანვრის შუა რიცხვებიდან ივლისის ბოლომდე 802 მგზავრს მოემსახურა.

– მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში 3.299-ით მეტი რეისი განხორციელდა. მონაცემები ასე გამოიყურება: სამგზავრო და სატვირთო რეისების რაოდენობა სულ – 11.218, აქედან რეგულარული რეისების რაოდენობაა 9.056, ხოლო ჩარტერების 2.162. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული რეისების რაოდენობასთან შედარებით, ზრდა 41.66%-ს შეადგენს.

15.25%-ით იმატა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებელმა. 2016 წლის 7-თვიან პერიოდში ერთეული გადაფრენების რაოდენობა იყო 69.863, მიმდინარე წლის განვლილ თვეებში კი საქართველოს საჰაერო სივრცეში 80.514 ერთეული გადაფრენა დაფიქსირდა.

მიმდინარე წლის 7 თვის მონაცემებით, ზრდა დაფიქსირდა სატვირთო გადაზიდვების კუთხითაც. საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 19.715.983 ტონა შეადგინა, რაც 4.832.60 ტონით, შესაბამისად 32.47%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს გადაზიდული ტვირთის ოდენობა, – აღნიშნულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციაში.

# ბიტკოინის ფასი 3.000 დოლარს გადასცდა

გასულ უქმეებზე ბიტკოინის და სხვა ციფრული ვალუტების ფასი კვლავ გაიზარდა.

ბიტკოინის ფასი 3.000 დოლარს ასცდა და ახალი მაქსიმუმი 3.200 დოლარის ზევით დააფიქსირა. ამ დროისთვის ერთი ბიტკოინი 3.279.7 დოლარი ღირს. იმავდროულად, გაიზარდა ბაზარზე არსებული ბიტკოინების კაპიტალიზაცია, რომელმაც 52.1 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ყველა ციფრული ვალუტის (მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულია) ჯამური კაპიტალიზაცია 108.9 მილიარდ დოლარზე მეტია. გასულ უქმეებზე, ყველაზე პოპულარული ციფრული ვალუტის ფასი 10.19 პროცენტით გაიზარდა, სულ კი ციფრული ვალუტების ღირებულებამ



ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, 15.40 პროცენტით მოიმატა.

ამავე პერიოდში, მკვეთრად დაეცა ბიტკოინის განაყოფის, ბიტკოინ ქეშის ღირებულება. მისი ფასი 20 პროცენტზე მეტით, 231 დოლარამდე დაეცა. არადა, 2 აგვისტოს 727 დოლარი ღირდა. ბევრი ანალიტიკოსი უკვე თვლის, რომ ბიტკოინ ქეშს მომავალი არ აქვს.

რაც შეეხებ ბიტკოინს, ახლა ბევრს აინტერესებს, შეძლებს თუ არა ის 4.000 და 5.000 დოლარამდე ასვლას? სულ ცოტა ხნის წინათ, „გოლდმენ საქსის“ უფროსმა ანალიტიკოსმა შება ჯაფარიმ იწინასწარმეტყველა, რომ მალე ბიტკოინის ფასი 4.000 დოლარს მიაღწევს. თუმცა „კაიზერ რიპორტის“ წამყვანი მაქს კაიზერი დარწმუნებულია, რომ ბიტკოინის ფასი მალე 5.000 დოლარს მიაღწევს.

საინტერესოა, რომ ბიზნესმენ ჯონ მაკეფის აზრით, ბიტკოინის ფასი სამ წელიწადში ნახევარ მილიონ დოლარს მიაღწევს და არც იმას გამორიცხავს, რომ 2.6 მილიონს მიაღწიოს. ანტივირუსების მწარმოებელი კომპანიის შეფმა თავად დაიწყო ბიტკოინების მოპოვება და მალე ეთერიუმის მოპოვებასაც იწყებს. უფრო მეტიც, უკვე დაწყებული აქვს მუშაობა საკუთარ ვალუტაზე, რომელსაც ამ ეტაპზე, მაკეფი კოინად მოიხსენიებენ.

# „რა იქნება 500 000-მდე დავების შემთხვევაში?“

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში კომერციული დავების განმხილველი სპეციალური მიმართულების შექმნის იდეას იურისტები იზიარებენ, თუმცა ცვლილება საკმარისად არ მიაჩნიათ.

სამოქალაქო კოლეგიაში კომერციული დავების განმხილველი სპეციალური მიმართულება პირველ აგვისტოს შეიქმნა, რომელიც 500 ათას ლარს ზევით დავის საგნის მქონე საინვესტიციო და კომერციულ დავებს განიხილავს. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კატეგორიის საქმეებს ოთხი მოსამართლე განიხილავს: თამარ ბურჯანაძე, ლევან მიქაბერიძე, ლაშა ქოჩიაშვილი და სოსო ღურწკაია.

როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ აღნიშნა, კომერციული დავების განმხილველი სპეციალური მიმართულების შექმნის შედეგად, ბიზნესგარემო, ინვესტიციების შემოდინება და ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდება.

იურისტ კობა ბოჭორიშვილის განცხადებით, ვიწრო სპეციალობის შექმნა დავებს ვერ შეამცირებს.

– ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ ვიწრო სპეციალობების შექმნა საქმეების წარმოებას ხელს უწყობს, მაგრამ აქ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას თუ გაეცნობით, არაორდინალური პოზიცია გაგიჩნდებათ. ჯერ ერთი, ვერ ვხედავ კვლევას, რატომ გახდა საჭირო აღნიშნული ტიპის კოლეგიის შექმნა, როცა არსებობს სხვა არაერთი კატეგორია, სადაც საქმეები ასევე ჭიანურდება. ეს საზოგადოების დიდ ნაწილს არათანაბარ პირობებში აგ-



დებს. განცხადებაში მხოლოდ ის ტენდენცია ჩანს, რომ აღნიშნული ვიწრო სპეციალობა ბიზნესის თხოვნის საფუძველზე შეიქმნა. ამ კოლეგიის შექმნით მე პირადად დავინახე ის, რომ სასამართლოში დიდი პრობლემა გვაქვს, მოსამართლეებს არ ვენდობით, ბევრი საქმეა და მოსამართლეები განხილვას ვერ ასწრებენ. თუ მართლა ასეა, მაშინ ალტერნატიულ გზებზე და ძირეულ რეფორმებზე უნდა ვიფიქროთ, ვიდრე ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღებაზე. სისტემურად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს და ხუთწუთიანი გამოსავალი არ უნდა ვეძიოთ. აღნიშნული ვიწრო სპეციალობის შექმნით დავების შემცირებას არ უნდა ველოდოთ, თუმცა ზოგად შედეგს მაინც უნდა დაველოდოთ, – აღნიშნა ბოჭორიშვილმა.

რაც შეეხება მოსამართლეებს, ბოჭორიშვილისთვის გაუგებარია, რატომ შეირჩნენ ისეთი მოსამართლეები, რომლებსაც გადამზადება დასჭირდებათ.

– თუ ჩვენ ეს მოსამართლეები უნდა გადავამზადოთ, მაშინ იუსტიციის უმაღლესი საბჭო რატომ გვეუბნება, რომ ეს მოსამართლეები საქმეებს კვალიფიციურად და სწრაფად განიხილავენო. გადამზადება რა საჭიროა? ამოვარჩიოთ პირდაპირ კვალიფიციური მოსამართლეები. მე კონკრეტულად ამ ოთხი მოსამართლის საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს, უბრალოდ განცხადების აზრი არ მესმის. თუ არ გვყავს კადრი და მათ ჯერ დატრენინგება სჭირდებათ, მაშინ რეფორმაზე ნუ ვისაუბრებთ. პრობლემას მაშინ მოევლება, თუ სასამართლოში კადრები ზოგადად კვალიფიციური იქნება და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები იარსებებს, – განაცხადა ბოჭორიშვილმა.

ამასთან, კახა ბოჭორიშვილის აზრით, მხოლოდ 500 ათას ლარს ზევით არსებული კომერციული დავებისთვის არ უნდა იყოს შექმნილი სპეციალური სამოქალაქო კოლეგია: „ყველაზე არათანაბრად იმას მივიჩნევ, რომ რატომ მხოლოდ თბილისი და არა სხვა ქალაქები? რატომ არ უნდა სარგებლობდნენ ამ სერვისით ქუთაისი, ბათუმი, ფოთი? გარდა ამისა, სხვა დავებსაც აქვს უფლება, რომ იგივე პროცესში იყოს განხილული“.

იგივე პოზიცია აქვს კიდევ ერთ იურისტს, იურიდიული კომპანია „BDO ლეგალის“ პარტნიორ დავით გელაშვილსაც, რომელიც „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, რა მოხდება 500 ათას ლარს ქვემოთ არსებული კომერციული დავების შემთხვევაში. მისი აზრითაც, სასამართლოში უფრო მეტად ძირეული ცვლილებებია საჭირო.

– ზოგადად, ვიწრო სპეციალობის შექმნა ჩემი მხრიდან აღქმულია, როგორც გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც გვაწუხებს საზოგადოებას და ბიზნესს. საქმეების გაჭიანურების პრობლემაც უნდა მოაგვაროს, თუმცა ვფიქრობ, საკმარისი არაა. ბოლო წლებში უფრო ფუნდამენტური რეფორმის შესახებ არაერთი ცვლილება განიხილებოდა და ეს მხოლოდ პატარა ნაბიჯია. ჩნდება კითხვა – 500.000-მდე დავების შემთხვევაში რა იქნება? ანუ ისევ ძველ რეჟიმში, გადატვირთული სასამართლოს პირობებში უნდა იყოს განხილული? სხვა დავების შემთხვევაში, თუ ისევ ისე გაგრძელდა პროცესების გაჭიანურება, პრობლემა იგივე დარჩება. ცვლილებები, რომელსაც სასამართლო საჭიროებს, უფრო ძირეული უნდა იყოს, – აღნიშნა გელაშვილმა.

რაც შეეხება მოსამართლეთა რაოდენობას, დავით გელაშვილი მიიჩნევს, რომ თუ 500 ათას ლარს ზევით არსებული კომერციული დავების რაოდენობა 300-მდეა, მაშინ მოსამართლეთა რაოდენობა გონივრულია.

– 300-მდე დავისთვის ოთხი მოსამართლის შერჩევა გონივრული ოდენობა იქნება. ახლა ვიცი, რომ თითო მოსამართლეს 200 და ზოგჯერ 400 საქმეც აწერია. მაშინ ეს შეღავათი იქნება. თუმცა პრობლემა ის არის, რომ სასამართლო რეფორმაზე, რაზეც მუშაობა მიმდინარეობდა, ბოლომდე მიყვანილი არაა, – აღნიშნა გელაშვილმა.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის განცხადებას, რომ შესაძლოა, მსგავსი ვიწრო სპეციალობა სააპელაციო სასამართლოშიც შეიქმნას, დავით გელაშვილის აზრით, ეს ლოგიკური იქნება:

– სააპელაციოში მსგავსი ვიწრო სპეციალობის შექმნა ლოგიკური იქნება. თუ ერთ ინსტანციაში ვაკეთებთ ცვლილებას, მაშინ მეორე ინსტანციაშიც უნდა გვქონდეს. ადამიანი, რომელსაც კომერციული დავა აქვს, პირველ ინსტანციას სწრაფად გაივლის, მაგრამ მეორე ინსტანციაში გაუჭიანურდება, ეს შვება არ იქნება.

## ბანკებმა 6 თვეში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 114,9 მლნ ლარის მოგება მიიღეს



კომერციულმა ბანკებმა 2017 წლის 2 კვარტალში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 114.953.959 ლარის მოგება მიიღეს. კომერციული ბანკების ანგარიშგებების მიხედვით, ამ ოპერაციებიდან ყველაზე მეტი მოგება „თიბისი ბანკმა მიიღო – 48.405 719 ლარი. მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი – 40.235.528 ლარი, მესამეზე კი „ვითიბი ბანკი – 6.956.687 ლარი.

ამავე ანგარიშგებების მიხედვით, ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან ყველაზე მცირე მოგება – 126.786 ლარი მიიღო სილქ როუდ ბანკმა, ლიბერთი ბანკი და „კრედო“ კი პირიქით, ზარალზე გავიდნენ.

კომერციული ბანკების TOP-ათეული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული მოგების მხრივ:

1 – „თიბისი ბანკი 48.405.719 ლარი

2 – „საქართველოს ბანკი 40.235.523 ლარი

3 – „ვითიბი ბანკი 6.956.687 ლარი

4 – „პროკრედიტ ბანკი 5.499.453 ლარი

5 – „ტერა ბანკი 4 672.828 ლარი

6 – ბანკი ქართუ 3.905.672 ლარი

7 – ბაზის ბანკი 1.830.303 ლარი

8 – ხალიკ ბანკი საქართველო 1.051.285 ლარი

9 – აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველო 759.552 ლარი

10 – პაშა ბანკი 582.389 ლარი

## 2017 წლის ივლისში ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები შემცირდა. სებ-ის სტატისტიკით ივლისში ოფიციალური სარეზერვო აქტივები 2.938.356.100 დოლარს შეადგენდა, ივნისში კი 2.956.463.600 დოლარი იყო.

ამასთან, 2017 წლის ივლისის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულმა საერთაშორისო რეზერვებმა 2.732.657.000 დოლარი შეადგინა, რაც 20.606.900 დოლარით ნაკლებია ივნისთან შედარებით. 2017 წლის ივნისში ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები 2.753.263.900 დოლარი იყო.

## ვინ არის რუსეთის მოქალაქე კობა ღურწკაია, რომლის კომპანიაც საქართველოში ლატარიას 2027 წლამდე ჩაატარებს

1 სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს.

საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერი ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა. „ბიზნეს-პრესნიუსისთვის“ უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა – გამარჯვებულმა კომპანიამ მიიღო.

ლატარიის ჩატარების უფლებამოსილება ამ დრომდე „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ აქვს, რომელიც საქმიანობას 1-ელი სექტემბრიდან წყვეტს. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 9 აგვისტოს შემდეგ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელი გახდა სახელმწიფო. ამ დრომდე უცნობია, თუ რა ბედი ეწევა აღნიშნულ წილს – დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში თუ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მფლობელობაში გადავა.

როგორც ფინანსთა სამინისტროდან „ბიზნეს-პრესნიუსისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ლატარიის კომპანიის 70%-იან წილთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამის უწყებებს შორის, რომელთა დასრულების შემდგომაც, შესაძლებელი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება“.

რაც შეეხება ტენდერის პირობებს, ლატარიის ორგანიზატორმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადოს არანაკლებ 5 000 000 აშშ დოლარი. ამასთან, კომპანია ვალდებულია, სახელმწი-



ფო ბიუჯეტში ყოველკვარტალურად გადაიხადოს ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების 8%. ასევე სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ლატარიის ორგანიზატორი ვალდებულია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს 2.800.000 აშშ დოლარს.

კომპანია „ჯი ენ ელ“-ი გასული წლის 25 იანვარს დარეგისტრირდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, რეგისტრაციის მომენტში კომპანიის 100%-იან წილს მისი მოქმედი დირექტორი ლევან ხუნდაძე ფლობდა. გასული წლის დეკემბრის მონაცემებით, კომპანიის მფლობელები უკვე ბულგარეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება New Games და შპს „ვინ“ არიან, რომლებიც იმ დროისათვის 50%-50%-იან წილებს ფლობდნენ. რეესტრის 2017 წლის 20 ივლისის მონაცემებით კი, New Games-i კომპანიის 25%-იანი წილის;

ხოლო „ვინ“ 75%-იანი წილის მფლობელები არიან.

New Games-ი ბულგარეთის ლატარიის ეროვნული კომპანიაა. რაც შეეხება კომპანია „ვინ“-ს, რეესტრში ის 2016 წლის 30 ნოემბერს დარეგისტრირდა და მისი 100%-იანი წილის მფლობელი რუსეთის მოქალაქე კობა ღურწკაიაა. რეესტრის მონაცემებით, ღურწკაია შპს „სი ბი ეს ჯგუფის“ გენერალური დირექტორია, რომლის 50%-50%-იან წილებს ბიზნესმენები – ხვიჩა მაქაცარია და თეიმურაზ არონია ფლობენ. სამივე მათგანი ინტერნეტპროვაიდერი კომპანიის „კავკასუს ონლაინის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან.

თავის მხრივ, „სი ბი ეს ჯგუფი“ რამდენიმე კომპანიას აერთიანებს, მათ შორის არიან: „კავკასუს ონლაინი“, „ბილაინი“, „თბილისის მიკროავტობუსი“ პირველი სარესტორნო ქსელის მმართველი კომპანია „ჯი-ემ-სი ჯგუფი“, სასტუმრო „ინტურისტი“ და ა.შ.

რეესტრის მონაცემებით, ღურწკაია ასევე ფლობს 80%-იან წილს კომპანია „ჯეო ტოტო“-ში; „იმპექს სერვისის“ 10%-იან წილს; „ფორტუნა-ბათუმის“ 25%-იან წილს. ასევე არის შპს „სფოთ ფოინთ“-ის დირექტორი, რომლის მფლობელები ხვიჩა მაქაცარია და თემური კობახიძე არიან.

შპს „ჯი ენ ელ“-ს საქართველოში ლატარიის ჩატარებაზე ექსკლუზიური უფლება 2027 წლამდე აქვს.

**ბიპიენი**

## „ინტერ რაოს“ ახალი სარჩელი შინაარსობრივად იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში იყო



„ინტერ რაოს“ ახალი სარჩელი შინაარსობრივად იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში იყო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, მარიამ ვალიშვილმა, განუცხადა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ქართული მხარის იურისტები საქმის დეტალებს სწავლობენ და მოქმედების სტრატეგიაც ამის შემდეგ იქნება დადგენილი.

– ეს ახალი სარჩელი რეალურად არის სხვა ინსტიტუციის გამოყენებით ინიცირებული სარჩელი, თუმცა შინაარსობრივად იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში იყო და შეეხება ტარიფებს. შინაარსობრივად სარჩელები არის ერთი და იგივე, უბრალოდ, მათ დაამატეს მეორე ინსტიტუცია, რომელიც არის საქართველოსა და ჰოლანდიას შორის გაფორმებული ინვესტიციების დაცვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სადავო ინსტიტუციის გამოყენების მექანიზმებია აქ გაწერილი. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს საჭიროდ, რომ ეს ინსტიტუტი იყოს გამოყენებული, თუმცა დავის შინაარსი აბსოლუტურად ერთი და იგივეა, როგორიც ეს იყო სტოკჰოლმის საარბიტრაჟო დავის შემთხვევაში, რომელიც მათ რამდენიმე თვის წინ შეიტანეს. რაც შეეხება სტრატეგიას, საკმაოდ მოცულობითი მასალებია. ბუნებრივია, ჩვენ გვყავს დაქირავებული იურისტები, რომლებიც ამ საქმის საკონსულტაციო ნაწილს ამუშავებენ. ჯერჯერობით დავის განხილვის ეტაპი არ დაწყებულა, ახლა მასალების შესწავლის ნაწილი მიმდინარეობს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვყალიბდებით სტრატეგიაზე, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეთ და რა არგუმენტები და პოზიციონირება ექნება ქართულ მხარეს დავის მთავარ ეტაპზე გადასვლის მომენტისთვის, – განაცხადა მარიამ ვალიშვილმა.

„ინტერ რაოს“ სტრუქტურებმა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ახალი სარჩელი შეიტანეს, რომელშიც ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ენერგოტარიფების აწევაზე უარის თქმის გამო, 175 მილიონი აშშ დოლარის ზარალის კომპენსირებას ითხოვენ.

## 6 თვეში საქართველომ ტურიზმიდან 1 მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო

ტურისტების გაზრდილმა ნაკადმა საქართველოს ტურიზმიდან შემოსავალი გაუზარდა – წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის ამ სექტორში 1.09 მლრდ დოლარის გენერირება მოხდა.

ეროვნული ბანკის წინასწარი მონაცემებით, მეორე კვარტალში ტურიზმის შემოსავლებმა 657.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალთან შედარებით დაჩქარდა ტურისტული შემოსავლების ზრდის ტემპი. მათ შორის ივნისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 43 %-ით არის გაზრდილი.

პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავალი 435 მლნ დოლარი იყო, 23.4%-ით მეტი, ვიდრე შარშან.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ორი კვარტლის მონაცემებით, შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში 867.9 მილიონი იყო.

ტურიზმიდან შემოსავლისა (+28%) და ფულადი გადმორიცხვების ზრდის (+18%) გათვალისწინებით, სებმ ვარაუდობს, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაუმჯობესებულია.

– საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ეტაპობრივად კიდევ უფრო გაუმჯობესება, რასაც საქონლის ექსპორტის ზრდასთან ერთად მომსახურების ექსპორტის, განსაკუთრებით, ტურიზმის და უცხოეთიდან მიღებული სხვა შემოსავლების ზრდა განაპირობებს, – აცხადებენ სებ-ის ექსპერტები.

არსებული პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წელს 12%-ის ფარგლებში იქნება.

შეგახსენებთ, 2016 წელს საქართველომ ტურიზმიდან 1.936 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო, წელს ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებაა ნავარაუდევი.



# რატომ გახდა კლუბური ნარკოტიკები ასეთი პოპულარული

## გელა ნიკოლაიშვილი: „ჩვენთან ნარკოპოლიტიკა არ არსებობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, იურისტი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გელა, დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ ქვეყანაში არსებულ ნარკოპოლიტიკის შესახებ. თქვენთვისაც ცნობილია, რომ ანაკლიაში „ჯემფესტზე“ ახალგაზრდა გოგონა გარდაიცვალა. 6 პირი მძიმე ინტოქსიკაციით ზუგდიდის საავადმყოფოში მოხვდა. გვესმის შეფასებები, რომ ასეთი თავშეყრის ადგილებში პირდაპირ განუკითხაობას აქვს ადგილი, საავადმყოფოები და ფსიქიატრიული სავსეა ახალგაზრდებითო. საზოგადოება ხელისუფლებას კლუბურ ნარკოტიკზე კანონის გამკაცრებას სთხოვს. რას იტყვით თქვენ?***

– დავიწყებ იმით, რომ ჩვენთან ნარკოპოლიტიკა, როგორც ასეთი, პრაქტიკულად არ არსებობს! არსებობს ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენება დანაშაულის გახსნის მიზნით, ან არასასურველი პირების იზოლირების მიზნით. ეს არის ფაქტიურად მთელი ნარკოპოლიტიკა, რომელიც, სამწუხაროდ, მოყოლებული კომუნისტებიდან, შევარდნაძიდან და სააკაშვილიდან, დღესაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდება. ის, რომ გააზრებული, კარგად გათვლილი ნარკოპოლიტიკა არსებობდეს და იმაზე ლაპარაკიც, რომ ლეგალიზაცია თუ ლიბერალიზაცია და ასე შემდეგ, ესეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს კონკრეტულად დაგეგმილი, თვეებზე გათვლილი ნარკოპოლიტიკა და ეს უნდა იყოს პარალელურ რეჟიმში ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ კანონმდებლობის ცვლილებასთან.

***– რას გულისხმობთ ამ ცვლილებაში?***

– რა თქმა უნდა, საჭირო არის გარკვეული ლიბერალიზაცია, მაგრამ ის, რომ ჩვენ ერთმანეთში ავურიოთ ლიბერალიზაცია და ლეგალიზაცია, ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა! რატომღაც ჩათვალეს, რომ რადგანაც ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, თეთრი ხმაური იქნება თუ სხვა, რომლებიც მოდას აყოლილები კონკრეტული მოთხოვნებით გამოდიან. ერთი რამ უნდა ითქვას, სერიოზული არასამთავრობო ორგანიზაციები, ვისაც მართლა გული შესტკივა და საქმის კეთება უნდა, მოდას აყოლილი არ არის. მეც ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციაში და ჩვენ ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ მივდიოდით.

***– დღეს რა სიტუაციაა ამ მხრივ?***

– დღეს, ყველა ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხმაურს ტეხს და მათი გამოსვლები კამპანიურ ხასიათს ატარებს, ეს ყოველთვის არის მოდას აყოლილი. იქნება ეს ე.წ. ჰომოფობიის წინააღმდეგ, ე.წ. ელგებეტეების დასაცავად, ე.წ. ნარკოტიკების რეალიზაციისთვის და ასე შემდეგ, მაგრამ რეალურად მათ არასწორად აქვთ გაგებული ეს პოლიტიკა, ვითომ მედასავლეთეები არიან და დამახინჯებული მიდგომების დანერგვას ცდილობენ ამ ქვეყანაში! მათ არც განათლება ყოფნით, არც ცოდნა, არც გამოცდილება და, რაც მთავარია, არც წესიერება იმისთვის, რომ რეალურ პრობლემებზე ილაპარაკონ!

**აქ ტრიალებს ძალიან დიდი ფული. ამიტომაც ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული, ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების გარეთაც, რომ ეს კონტროლი არ მოხდეს. რაც სჭირდება ხელისუფლებას!**

***– რატომ გახდა ასეთი პოპულარული კლუბური ნარკოტიკი? ეს გაურკვეველი წარმომავლობის ბიონარკოტიკი, რომელიც ძალიან მძიმე შედეგებს იძლევა? რატომ ვერ ან არ ხდება კონტროლი ამ ყველაფერზე?***

– ჯერ ერთი, აქ ტრიალებს ძალიან დიდი ფული. ამიტომაც ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული, ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების გარეთაც, რომ ეს კონტროლი არ მოხდეს. რაც სჭირდება ხელისუფლებას და სამართალდამცავ ორგანოებს, იმას ძალიან კარგად აკონტროლებენ! ძალიან კარგად იციან, ვინ არიან გამსაღებლები, საიდან შემოდის, როგორ შემოდის, მაგრამ გარკვეულ მომენტამდე ისინი ან მათთან თანამშრომლობენ, ან მათ მომხმარებლებს არაფერს ეუბნებიან და როცა დასჭირდებათ, მხოლოდ მაშინ აკავებენ, ან კვლავ თანამშრომლობას სთავაზობენ. აი ასეთი პოლიტიკა, ასეთი შერჩევითი სამართალი რომ მოქმედებს, ესეც ძალიან დიდ უარყოფით შედეგს იძლევა ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით.

***– რა არის პირველ რიგში ამ კუთხით გასაკეთებელი?***

– ეს ბიოა თუ რაღაც უბედურება, პირველ რიგში უნდა იყოს მასზე კატეგორიული აკრძალვა, არამხოლოდ სანქციების გაზრდა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თავისთავად რა არის ბიო? ის იაფი ჯდება, ადვილი ხელმისაწვდომია, მისი კუსტარულად დამზადება შეიძლება, ამიტომაც მასობრივად ხდება მისი მოხმარება. უმრავლესობას ძვირიანი ნარკოტიკის ფული არა აქვს და ვინაიდან ეს ადვილი ხელმისაწვდომია და იაფია, ამიტომ მას მასობრივად მოიხმარენ. საჭიროა პროპაგანდა, საუბრობს ვინმე იმაზე თუ რა შედეგი მოაქვს ამას?! თუნდაც კლიპების საშუალებით მოხდეს ამის ახსნა. ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს ის, რომ ახალგაზრდებში ეს კარგ ტონად აღარ ითვლებოდეს.

***– საუბარია, რომ ასეთი თავშეყრის ადგილებში მასიობრივი ხასიათი მიიღო კლუბური ნარკოტიკის მოხმარებამ. ასეთ სიტუაციებში უნდა არსებობდეს თუ არა კონტროლის მექანიზმი?***

– საერთოდ მე მიმაჩნია, რომ არც ერთი ნარკოტიკის მიმართ არ შეიძლება იყოს ტოლერანტული დამოკიდებულება. არ შეიძლება, რომ ეს იყოს წახალისებული. ნარკოტიკის კი არა, ამერიკაში ამ 10-15 წლის წინ, ძალიან დიდი ბუმი იყო სიგარეტის წინააღმდეგაც კი და ისეთ დისკრიმინაციას განიცდიდნენ სიგარეტის მწეველები და ისეთ შემტევ პროპაგანდას აწარმოებდა ხელისუფლება თუ კერძო ორგანიზაციები ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, რომ ნახევარი ამერიკა გადავიდა ცხოვრების ჯანსაღ წესზე. უფრო მეტსაც გეტყვით, მთელი რუსეთი, რომელიც მიჩნეულია ლოთ ერად, საბავშვო ბაღიდან თუ სკოლიდან დაწყებული, ისეთი კულტივირება ხდება ამ სპორტის და იმდენად ხელს უწყობენ, რომ მათი უმრავლესობა იქცა ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრად. აი რა არ ხდება ჩვენთან. ხოლო მარტო ამ აკრძალვებით და მარტო კონტროლით ამ საფრთხეს და ამ უბედურებას არ მოევლება.

***– საუბარია, რომ სკოლის მოსწავლეებშიც ძალიან ხშირად ფიქსირდება მსგავსი ნარკოტიკების მოხმარება, ძალიან გაახალგაზრდავდა მომხმარებელთა ასაკიო.***

– ამაზე სახელმწიფომ უნდა იმუშაოს. სპეციალური პროგრამები უნდა შემუშავდეს.



***– ინტერნეტით არის შესაძლებელი ბიოს შეძენა და თან პირდაპირ სთავაზობენ მოზარდებს სოციალური ქსელებით და სხვა საშუალებებითო.***

– აი სწორედ ეგ არის უბედურება! ახალგაზრდა თაობა რომ იღუპება. სწორედ ეს ინიციატივები უნდა აიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომ მიდიოდეს ამის ანტირეკლამა, ანტიპროპაგანდა და არა ის, რომ უი, რა კარგია ნარკოტიკები, მოდი არ დავიჭიროთ, არ შევზღუდოთ, ისეთი ლეგალური იყოს, როგორც სიგარეტის მოწევა, თითქოს სიგარეტის მოწევა კარგი იყოს.

ამერიკაში სიგარეტის მოწევაზეც კი იმხელა ჯარიმებია საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, ვერც ერთ შენობაში მოსაწევ კუთხეს ვერ ნახავთ. კარგში რატომ არ ბაძავენ დასავლეთს?! ჩვენთან თურმე ეს თანამედროვეობა და კარგი ტ ონია. იმას რატომ არ უყურებენ, რომ ერის დეგრადაცია ხდება! მომავალი თაობის გარყვნა ხდება. მას ხომ აღარაფერი აინტერესებს რეალურად, მხოლოდ ექსტაზში ყოფნა და შემდეგ საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება. რა სამშობლო, რა პატრიოტიზმი, მათთვის ეს ღირებულებები დაცინვის საგანი ხდება.

## მიხეილ გიორგაძე: „ნარკორეალიზატორების მიმართ კანონმდებლობა მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს“



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის მოსაზრებით, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორების მიმართ უმკაცრესი ზომები უნდა გატარდეს.

როგორც მიხეილ გიორგაძემ ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, მისი პირადი მოსაზრებით, ამ მიმართულებით კანონმდებლობა მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს.

– როდესაც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, არ აქვს მნიშვნელობა, გემ ფესტ-ი იქნება თუ ნებისმიერი სხვა ღონისძიება ან უბრალოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ერთმნიშვნელოვნად რეალიზატორების მიმართ უმკაცრესი ზომები უნდა გატარდეს. ჩემი პირადი აზრია, რომ მაქსიმალურად გამკაცრდეს კანონმდებლობა, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

## ნარკოდანაშაულისთვის „ჯემ ფესტზე“ 22 წლის ბიჭი დააკავეს

სოფელ განმუხურში ნარკოდანაშაულისთვის 22 წლის ბიჭი დააკავეს.

– შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ბ.კ. ნარკოდანაშაულისთვის ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში დააკავეს.




სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალების შემცველი 2 ფირფიტა 28 დანაყოფით, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ბ.კ.-ს მარიხუანის, ამფეტამინის, მეტამფეტამინის და „მდმა“-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით), – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ბათუმში ორი ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს




ბათუმში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, ორი ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილები 17 -18 წლის ბიჭები არიან. ახალგაზრდები, სავარაუდოდ, რამდენიმე დღის გარდაცვლილები არიან.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## განზრახ მკვლელობისთვის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ განზრახ მკვლელობისთვის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის გ.ძ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით.



სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2017 წლის 26 მარტს, საღამოს საათებში, თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში არსებულ სტადიონთან, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ვ.ს.-ს შელაპარაკება მოუხდა იმავე სოფელში მცხოვრებ ძმებ გ. და დ.ძ.-სთან, რაც ჩხუბსა და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის განმუხტვაც იქ მყოფმა პირებმა მოახერხეს. რამდენიმე საათის შემდეგ ვ.ს. მეგობრებთან ერთად ძმების, გ. და დ.ძ.-ს საცხოვრებელ სახლში მივიდა და მათ კვლავ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

აღნიშნულით განაწყენებულმა გ.ძ.-მ, შურისძიების მოტივით ვ.ს.-ს მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი 27 მარტს, ღამის საათებში სანადირო თოფით შეიარაღებული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდა, ვ.ს.-ს სატელეფონო შეტყობინება გაუგზავნა და სტადიონზე გასვლა მოსთხოვა, შემდეგ კი ადგილზე მისულს ორჯერ ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ვ. ს. მიღებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა 6,12 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“. გ.ძ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) წარედგინა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.ძ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ქარელში 50 წლის ქალმა 45 წლის ქალს ეჭვიანობის ნიადაგზე 30 ჭრილობა მიაყენა

ქარელში ეჭვიანობის ნიადაგზე 50 წლამდე ქალი მისივე ასაკის ქალს თავს დაესხა და ცივი იარაღით დაჭრა. დაზარალებულს ჭრილობები სახეზე, კიდურებსა და თავზე აქვს მიყენებული.

50 წლის ქალმა 45 წლის ქალს 30-მდე ჭრილობა მიაყენა. დაზარალებული „იბერიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ინციდენტი ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. დაზარალებულის თქმით, ქალი მას სუფრაზე მიუვარდა და დანით დასერა მთელ სხეულზე.

ქარელის საავადმყოფოში ამბობენ, რომ დაზარალებული პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ თავისი სურვილით სახლში წავიდა.

მომხდარზე გამოძიება 118-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.



# მაკეინი: „რუსეთი ჩვენთვის უფრო მეტი საფრთხეა, ვიდრე ისლამური ტერორიზმი!“



ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა ჯონ მაკეინმა „ჰე ღრიზონა ღეპუბლიც“ -ს ინტერვიუ მისცა. შეკითხვაზე, რუსეთის წინააღმდეგ ასე მტრულად განწყობილი რატომა ხართო, მიუგო:

– რუსეთი ამერიკისათვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო!“

მაკეინმა ხაზი გაუსვა, რომ ტერორისტები საოცრად დაუნდობლები არიან, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ტექნოლოგიები და შეიარაღება. რუსეთს კი გააჩნია.

– ამიტომაც რუსეთი უფრო მეტი საფრთხეა და ამისი უგულებელყოფა არ შეიძლება, – ამბობს მაკეინი.

# ესტონეთში კიდევ 150 ამერიკელი მედესანტე ჩავა



სექტემბერში ბელორუსში რუსეთ–ბელორუსის სამხედრო სწავლება იწყება. ამის საპირისპიროდ ბალტიისპირეთში აშშ–ბალტიის ქვეყნების სწავლება „დასავლეთი – 2017“ მოეწყობა. ამ მიზნით ესტონეთში კიდევ 150 ამერიკელი მედესანტის გაგზავნაა დაგეგმილი. ისინი ამ ქვეყანაში ამა წლის აგვისტოს ბოლოს ჩავლენ.

– რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ მის აგრესიას ამერიკა არასოდეს არ შეეგუება! – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა.

# ყირიმს ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში პრობლემები მწვავდება. ნახევარკუნძულზე საგრძნობი იყო წყლის დეფიციტი. ახლა ამას უდენობაც დაემატა.

– შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებულნი ვართ, რომ ყირიმს დენი გრაფიკით მივაწოდოთ, – იტყობინება რუსეთის ენერგეტიკის სამინისტრო.

ცნობილი ტელე-წამყვანი სოლოვიოვი შექმნილ მდგომარეობაში ამერიკელებს ადანაშაულებს.

– ის, რაც დღეს ყირიმში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის დაჩოქების მცდელობა. უკრაინელებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ისინი ერად კი არა, ვაშინგტონის მარიონეტებად მიმაჩნია! ოკეანის გაღმელ ვაჟბატონებს კი მსურს მოვახსენო: რუსეთის დაჩოქებას ვერ მოესწრებით! – ამბობს სოლოვიოვი.

რუსი ტელე-წამყვანის ამ გამოხტომას უკრაინული პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერი ოლეგ ტიაგნიბოკი გამოეხმაურა:

– უკანასკნელ ხანს მოსკოვის ტელეარხებზე ისტერიული და უხამსი გამოხდომები გახშირდა. ეს რუსული სახელმწიფოს უძლურების გამოხატულებაა. რუსებს მივმართავ: ყირიმი ან უკრაინული იქნება, ან უკაცრიელი, სხვა ვარიანტი არ არსებობს! – თქვა ტიაგნიბოკმა.

# ტრამპის რეიტინგი ეცემა



თანახმად სი-ენ-ენის ცნობისა, ტრამპის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს. სადღეისოდ მან 28 %-ს მიაღწია. ტრამპის პოპულარობა თვით რესპუბლიკური პარტიის შიგნითაც დაეცა. რაც შეეხება ტრამპის მთავარ ელექტორატს, აშშ-ის თეთრკანიან მოსახლეობას, რომელსაც უმაღლესი განათება არ გააჩნია, მასში ტრამპის პოპულარობა 12 %-ით შემცირდა.

თავად ტრამპი, როგორც ჩანს, ამის თაობაზე ინფორმირებულია. თავის უკანასკნელ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ შესაძლოა ცდებოდა, მაგრამ ამერიკისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა.

– დიახ, არ მინდოდა, რომ ამერიკელი ახალგაზრდობა სირიაში, ავღანეთსა თუ უკრაინაში დაიღუპოს. დიახ, არ მინდოდა და არ მინდა რომ სახსრები, რომელიც ამერიკელ მშრომელებს უნდა მოხმარდეს, ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყნების დახმარებაზე წავიდეს! დღეს ამერიკა არნახულად ძლიერია. ჩვენი უმუშევრობა 4%-მდე დაეცა, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. აშშ-ში უმუშევრობა საერთოდ არ უნდა იყოს! – თქვა ტრამპმა.

# გერმანიის მთავრობა: „ყირიმის ანექსიას არასოდეს შევეგუებით!“

გერმანელი ლიბერალების ლიდერმა კრისტიან ლინდნერმა განაცხადა, რომ დემოკრატიული მსოფლიო რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას უნდა შეეგუოს და ეს საკითხი მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას.

– როგორც ევროპას, ისე აშშ-ს არც რუსეთთან კონფრონტაცია და არც ახალი ცივი ომი არ სჭირდება! ამიტომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია უნდა დავივიწყოთ და რუსეთთან ურთიერთობები განვაახლოთ.

ამ სიტყვებმა გერმანელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ულრიკე დემერმა განაცხადა, რომ ლინდნერმა თავისი პირადი პოზიცია დააფიქსირა. გერმანიის ხელისუფლება ამას ემიჯნება და კატეგორიულად გმობს.




– რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით საერთაშორისო კანონმდებლობა ფეხქვეშ იქნა გათელილი! გერმანია ყირიმის ანექსიას არასოდეს არ აღიარებს! რუსეთის მიმართ სანქციები მანამ გაგრძელდება, სანამ ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება, – თქვა დემერმა.

# მადურო აშშ-ს ბრალს სდებს

ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ განაცხადა, რომ სამხედრო ბაზაზე თავდასხმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას წარმოადგენდა და მტრული ძალების მიერ იყო დაფინანსებული.

– გადატრიალება აშშ-მ და კოლუმბიამ დააფინანსეს, – ცხადებს პრეზიდენტი.

მადუროს თავისი ბრალდების არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოუყვანია. მან მხოლოდ ის თქვა, რომ პუტჩის მეთაური იყო ვენესუელის არმიის ოფიცერი ხუან კაგუარიპანო. მადურომ აღნიშნა, რომ შეთქმულებმა, მათ შორის კაგუარიპანომ, გაქცევა შეძლეს, თუმცა ერთი დღით ადრე ირწმუნებოდა, რომ ყველა მათგანი შეიპყრეს.



მოსკოვში ვენესუელის მოვლენებს უკვე გამოეხმაურნენ. პრემიერმა მედვედევმა აღნიშნა, რომ აშშ და ვენესუელა სამხედრო კონფრონტაციის ზღვარზე იმყოფებიან. კრემლის ყველაზე აგრესიული წრეების პოზიცია ტრადიციულად ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– დადგა დრო, როცა საკითხი კატეგორიულად უნდა დაისვას: თუკი აშშ უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს, ჩვენ ვენესუელას უნდა დავეხმაროთ. როგორც კი ამერიკელები უკრაინელებს ლეტალურ იარაღს მიაწვდიან, იმ წამსვე ვენესუელას რაკეტებს, ტანკებს და ქვემეხებს მივაწოდებთ, – ამბობს ჟირინოვსკი.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, აშშ ვენესუელასათვის ახალი სანქციების დაწესებას აპირებს.

მდგომარეობა იძაბება.

# ვოლინის ფესტივალი

ვოლინზე (უკრაინა) „უკრაინული ჰეროიკული“ სულის ფესტივალი ჩატარდა. შესრულებულ იქნა პატრიოტული სიმღერები. ეს თანაბრად შეეხება როგორც სიმღერებს კაზაკებზე, ასევე უპა-ზე ( უკრაინის აჯანყებულთა არმია). მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა დონბასში მებრძოლი უკრაინელი ჯარისკაცების სიმღერამ, სადაც ნათქვამია:

– ჩვენს მიწას არავის არ დავანებებთ.

ამას გარდა ჩატარდა შეჯიბრება ხელჩართულ ბრძოლებში, სადაც ერთმანეთს შეერკინნენ კარატისტები, ძიუდოისტები, მოკრივეები და უკრაინული საბრძოლო გოპაკის წარმომადგენლები.

თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებისა, უკრაინელთა 87% რუსეთს მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს და დონბასისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. ამავე დროს რუსი ხალხის ( და არა სახელმწიფოს) მიმართ მტრულად მხოლოდ 7%-ია განწყობილი. სტეპან ბანდერას გმირად მოსახლეობის 74% მიიჩნევს. 73% უკრაინის ნატოში გაწევრიანების მომხრეა.



# რუს მღვდელს სუტენიორობაში ადანაშაულებენ

ბელორუსში ლენინგრადიდან ჩასული რუსი მღვდელი დააკავეს. ბელორუსის საგამომძიებლო კომიტეტის ცნობით, მას სურდა ბელორუსიდან ქალთა ჯგუფი რუსეთში გადაეყვანა და პროსტიტუციაში ჩაება.

ხსენებული პირი დაკავებულია. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, – იტყობინება ბიბისი.

დაკავებულის ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არ ხმაურდება. ვარაუდობენ, რომ მღვდელი მარტო არ იყო და მის უკან როგორც რუსი, ისე ბელორუსი ჩინოვნიკები დგანან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# 18 წლამდე ბიჭები მე-18 ადგილზე გავიდნენ



საქართველოს 18 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა მე-18 ადგილზე დაასრულა.

შვეიცარიის დამარცხების შემდეგ, ქართველებმა მე-17 ადგილისთვის თამაშის უფლება მოიპოვეს, თუმცა ავსტრიასთან 82:86 წააგეს და 24-გუნდიან ტურნირზე მე-18 პოზიცია დაიკავეს.

ავსტრიელებთან მატჩში ქართველთაგან საუკეთესო ნიკოლოზ მეცხვარიშვილი გახლდათ, რომელმაც 19 ქულა და 18 მოხსნა მოაგროვა, ოთარ პერტაიამ კი 19 ქულა ჩააგდო.

საგაისოდ, ელიტარულ ა დივიზიონში თამაშის უფლება ხორვატიამ, დიდმა ბრიტანეთმა და ესტონეთმა მოიპოვეს.

რაც შეეხება 18 წლამდე გოგონათა ნაკრებს, ისრაელთან 39:77 დამარცხდნენ. 21 ქულით ბომბარდირი გახდა ნატალია ოთხმეზური. 7-7 ქულა ანა ქავთარაძემ და ვიქტორია გეგეშიძემ მიითვალეს.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩში შვეიცარიას დაუპირისპირდება.

# ბართომეუ: „ნეიმარის გაყიდვით აღებულ თანხას გონივრულად დავხარჯავთ“

ნეიმარის გაყიდვის შემდეგ ბარსელონას სოლიდური თანხა შეუვიდა და ახლა ამ თანხის გონივრულად დახარჯვას აპირებს. კლუბის პრეზიდენტს, ხოსეპ მარია ბართომეუს გამართულ პრესკონფერენციაზე მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის შესაძლო ტრანსფერების შესახებ ჰკითხეს.

– ჩვენ ამ დრომდე დავიბრუნეთ ჟერარ დეულოფეუ და ვიყიდეთ ნელსონ სემედუ. გარდა ამისა, ტრანსფერები კიდევ იქნება, ახლა ჩვენ ახალი ფეხბურთელების გაფორმებაზე ვმუშაობთ. არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელ ფეხბურთელს გავიფორმებთ, ამ საკითხზე კლუბის სპორტული დირექტორი რობერტო ფერნანდესი მუშაობს. 222 მილიონ ევროს გონივრულად დავხარჯავთ. ტრანსფერების გარდა, ეს თანხა სხვადასხვა აქტივობას მოხმარდება, – აცხადებს ბართომეუ.

ბარსელონაში იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში კიდევ ერთ ტრანსფერს განახორციელებენ. უმთავრესი ყურადღება კი გადატანილია ფელიპე კოუტინიოზე.



კლუბის ხელმძღვანელები, ინგლისში უკვე ორჯერ გაემგზავრნენ და მოლაპარაკებებს მართავენ. ბარსელონამ იცის, რომ ბრაზილიელის სანაცვლოდ ჯიბის გვარიანად დაცლა მოუწევს, მაგრამ მეორე მხრივ, წითლები ფეხბურთელის გაყიდვაზე თანახმა არიან. ახლა ეს უკვე ფინანსური შეთანხმების საკითხია.

კატალონიელთა დელეგაციას რაულ სანლეჰი ხელმძღვანელობს. თუმცა, როგორც ესპანური მედია იტყობინება, ბოლო რამდენიმე საათში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბართომეუმაც. ნეიმარმა თავისი გამოსასყიდი თანხა 5 დღის წინ გადაიხადა და კლუბს სასწრაფოდ სჭირდება ძლიერი ფეხბურთელი, რომელიც მის დანაკლისს ოდნავ მაინც შეავსებს.

თავად კოუტინიოს სურვილი ბარსელონაში თამაშია და იმედოვნებს, რომ კლუბები შეთანხმებას მალე მიაღწევენ. თავის მხრივ, კატალონიელების ბიუჯეტი 222 მილიონი ევროთი შეივსო და ეს რთული არ უნდა იყოს.

ბარსელონას ასევე უკავშირებენ თომას ლემარს – მონაკოს ახალგაზრდა ნახევარმცველს. ფრანგული მედია იმასაც გვამცნობს, რომ კატალონიელები ნიცას ნახევარმცველ სერის მიუბრუნდნენ.

# ჯორჯო კიელინის აზრით, ჩემპიონი იუვენტუსი გახდება

ტურინის იუვენტუსის და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი ჯორჯო კიელინი სერია ა-ს მოახლოებული ახალი სეზონის პროგნოზს აკეთებს და სავარაუდო კონკურენტებს აფასებს.

კიელინის არც საკუთარი გუნდის კრიტიკა დავიწყებია:

ჩვენ ბოლო 3 კვირის განმავლობაში მეტი დრო დავუთმეთ მოგზაურობას, ვიდრე ვარჯიშს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება თამაშები, მაგრამ უფრო მაღალ ტემპში. ახალი სახეები? ისინი, ჩემი აზრით, კარგად ირჯებიან, მაგრამ ისიცაა, რომ ჩვენთან ჯერ საკმარისად არ უმუშავიათ. კოშტა და ბერნარდესკი შესანიშნავი ბიჭები არიან. ჩემი აზრით, ისინი უთუოდ შეუწყობენ ხელს გუნდის პროგრესს. რაც შეეხება დე შილიოს, მშვენიერი შენაძენია. მან იცის, რომ ბევრი უნდა იმუშაოს და შედეგს აუცილებლად მიაღწევს. მომავალი სეზონის ჩემპიონატი კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი იქნება, თუმცა იუვენტუსი ისევ ჩემპიონი გახდება.



ჩვენი მთავარი კონკურენტი? რა თქმა უნდა, ნაპოლი. ნეაპოლელებს კარგად შეთამაშებული გუნდი ჰყავთ. რაც შეეხება მილანს, ლომბარდიელებმა 9 ფეხბურთელი დაიმატეს და ვფიქრობ, ამდენი ახალწვეულით სკუდეტოს მოგება შეუძლებელია. მათ დრო სჭირდებათ, შემდეგ კი ვნახოთ.

# სტივ ჯერარდი ლივერპულს სატრანსფერო კამპანიას უწუნებს






ლივერპულის ლეგენდას, სტივენ ჯერარდს სჯერა, რომ სატრანსფერო ფანჯრის დასრულებამდე, მერსისაიდელთა მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა აუცილებელი წესით ტრანსფერები უნდა განახორციელოს.

ენდრიუ რობერტსონი, მოჰამედ სალაჰი და დომინიკ სოლანკე იმ ფეხბურთელების ნუსხაა, ვინც მიმდინარე ცხელ თვეებში „ენფილდზე“ გადმობარგდნენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვირჯილ ვან დაიკის თემატიკა, აი ნაბი კეიტა კი კლუბს არ გამოიცვლის.

არსებული პრობლემების საპასუხოდ, კაპიტანმა ფანტასტიკამ გერმანელ მენეჯერს რჩევაც მისცა. მისი აზრით, ბოლო 3 კვირის განმავლობაში ლივერპულმა ჰიპერაქტიურობა უნდა გამოიჩინოს ბაზარზე და რაც მთავარია, მინიმუმ 2 ფეხბურთელით გაძლიერდეს.

**სტივენ ჯერარდი:**

– ჯერ კიდევ გვაქვს დრო, წინ 3 კვირაა. გასულ წელს, ზედა ექვსეულს შორის, ლივერპულმა საუკეთესო ფეხბურთი შემოგვთავაზა. გარდა ამისა, ბოლო წლებში, ლივერპულმა საუკეთესო პრე-სეზონი ჩაატარა, ამ ყველაფერს ახალი კადრები სჭირდება და ვიხილავთ ჩემპიონობისთვის დაგეშილ გუნდს. არ შემიძლია, ადამ ლალანას ტრავმას არ გამოვეხმაურო, ძალიან განვიცადე მისი ამბავი, მაგრამ, სადიო ფორმას იკრეფს, სალაჰმა ადაპტაცია გაიარა, კოუტინიოს შენარჩუნება კი უბრალოდ ჩვენი სიამაყის ნიშანი იქნება. და ბოლოს, ძლიერი გუნდები არასდროს გვაფრთხობდა, როგორც მოგახსენეთ, უმაღლესი დონის კონტრფეხბურთელები გვყავს, მთავარია დაცვაში ჩამჯდარ გუნდებთან ვისწავლოთ თამაში.

## შედეგები

**7 აგვისტო**
**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| რუანდა-სუდანი | 2:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზ.პაული-დინამო | 2:2 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| პორტიმონირერენსე-ბოავიშტა | 2:1 |
| ფეირენშე-ტონდელა | 1:1 |
| რიუ ავე-ბელენენსეში | 1:0 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-სპარტა | 0:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| არკა-კორონა | 0:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სონდერიისკე-ორხუსი | 3:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ნორჩიოპინგი-ესკილსტუნა | 1:0 |
| დიურგარდენი-მალმიო | 0:1 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| სტრომგოდსეტი-ვალერენგა | 2:0 |

# ტორონტოს მეტროში ქალმა ძაღლი დაკბინა

კანადის ქალაქ ტორონტოს მეტროში ქალმა საკუთარი ძაღლი დაკბინა, დაუყვირა და რამდენჯერმე დაარტყა. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა თვითმხილველმა იუთუბიზე განათავსა.

ვიდეორგოლში ჩანს, რომ ცხოველის პატრონი თავის ძაღლს დროდადრო ეუბნება „შეწყვიტე!“, მიუხედავად იმისა, რომ ის მის მუხლებზე მშვიდად ზის. ქალმა ასევე რამდენჯერმე პირიდან ბეწვი გამოიღო.

– გარკვეული დროის შემდეგ მასთან მამაკაცი მივიდა და მოსთხოვა შეეწყვიტა, შემდეგ კი ის მემანქანის კაბინისკენ გაემართა. მატარებელი გაჩერდა, მასთან მეტროს სამი თანამშრომელი მივიდა, რის შემდეგაც ქალმა ვაგონი დატოვა, – დაწერა ვიდეორგოლის კომენტარში შემთხვევის მოწმემ.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ექსტრემალური ამინდის გამო, 2100 წლისთვის ევროპაში წელიწადში 152 ათასი ადამიანი დაიღუპება“

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თუ მსოფლიომ კლიმატური ცვლილებების თავიდან ასაცილებლად სერიოზული ნაბიჯები არ გადადგა, მაგალითად ევროპაში, 2100 წლისთვის, ექსტრემალური ამინდის გამო, წელიწადში 152 ათასი ადამიანი დაიღუპება.

ეს ციფრი 50-ჯერ აღემატება მიმდინარე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამის შესახებ ევროკომისიის კვლევების გაერთიანებული ცენტრის მეცნიერები წერენ.

კერძოდ, მეცნიერების აზრით, სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი (99%) ანომალიური სიცხეა და მათი უმრავლესობა ევროპის სამხრეთითაა დაფიქსირებული. სწორედ ახლა, ამ რეგიონში, 44 გრადუსი სიცხეებია.

იტალიაში ჩვეულებრივზე 10 გრადუსით მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება, რამაც ტყის ხანძრები და საშინელი გვალვა გამოიწვია. ოთხშაბათს, სარდინიაში 44, რომში 43 და სიცილაში 42 გრადუსი იყო.

ევროკომისიის კვლევების გაერთიანებული ცენტრის ექსპერტები თვლიან, რომ თუ კაცობრიობა არ შეამცირებს ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას, საუკუნის დასასრულისთვის შედეგი შემზარავი იქნება:




ექსტრემალური ამინდის გამო სიკვდილიანობა 3.000-დან (1981-2010 წლების მონაცემები) 2071-2100 წლებისთვის 152.000-მდე გაიზრდება;

2100 წლისთვის ევროპელთა 2/3 დაზარალდება სტიქიური უბედურებებისგან (2000 წლისთვის სტიქიური უბედურებები მხოლოდ მოსახლეობის 5%-ს შეეხო)

2100 წლისთვის წელიწადში სანაპიროებზე წყალდიდობის შედეგად 233 ადამიანი დაიღუპება. 2000 წელს – მხოლოდ 6 დაიღუპა.

კვლევაში მეცნიერებმა გააანალიზეს შვიდი სტიქიური უბედურების – ანომალიური სიცხე, უეცარი ძლიერი აცივება, ტყის ხანძარი, გვალვა, მდინარის და ზღვის სანაპირო წყალდიდობები, ქარიშხალი – ზეგავლენა 28 ევროპულ ქვეყანაზე. მათ შეაფასეს 1981-დან 2010-მდე არსებული მონაცემები და მათზე დაყრდნობით გააკეთეს პროგნოზი საუკუნის დასასრულისთვის. მათ გაითვალისწინეს ასევე არა მარტო მოსახლეობის ზრდის პროცესი, არამედ მიგრაციული პროცესებიც.

კლიმატური ცვლილებები ყველაზე დიდი გლობალური საფრთხე იქნება კაცობრიობისათვის 21-ე საუკუნეში და რისკები კიდევ უფრო გაიზრდება, თვლიან მეცნიერები.

საუკუნის დასასრულისთვის 350 ევროპელი ყოველდღე დადგება კლიმატური უკიდურესობების საფრთხის წინაშე, თუ სასწრაფოდ არ დაიწყო ბრძოლა გლობალური დათბობის წინააღმდეგ, – აცხადებენ ისინი.

**ნიუპოსტი**

## ჩვენება მსუქანი მოდელების მონაწილეობით სიმსუქნის „პროპაგანდისთვის“ გააკრიტიკეს




მაიამიში სპორტე ილუსტრეიდის მიერ მსუქანი მოდელების მონაწილეობით გამართული ჩვენება, რომლებიც საცურაო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი, სიმსუქნის „პროპაგანდისთვის“ გააკრიტიკეს.

დეფილეს მისამართით ნეგატიური კომენტარები წამოვიდა ავსტრალიიდან, მაგალითად, კოლუმნისტმა სორაია ფუდამ განაცხადა, რომ დროა შეწყდეს არა მხოლოდ მეტისმეტად გამხდარი მოდელების, არამედ საერთოდ ყველა იმ ქალის მიწვევა მოდის ჩვენებაზე, რომელსაც „არაჯანსაღი“ ფიგურა ექნება.

მისი თქმით, მეტისმეტად ტანსრული მოდელები პოდიუმზე, შესაძლოა, „უპასუხისმგებლო“ გზავნილად იქცნენ, რომლის თანახმადაც, საკუთარ წონას არ უნდა გაუფრთხილდე.

ბრედ ფრენკუმმა ავსტრალიის სამედიცინო ასოციაციიდან, თავის მხრივ განაცხადა, რომ მოდის ბიზნესმა თავი უნდა აარიდოს „უკიდურესობების“ წარმოჩენას.

## ბრიჯიტ მაკრონი პირველი ლედის სტატუსს არ მიიღებს



ემანუელ მაკრონის თანაშემწეებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტის ცოლის საქმიანობა იქნება საჯარო და არა პოლიტიკური. საფრანგეთის პრეზიდენტის ცოლი ოფიციალურად არ მიიღებს პირველი ლედის სტატუსს.

ოფიციალურ წყაროებს ამის შესახებ ჯერ არ გაუკეთებიათ კომენტარი, მაგრამ მთავარ მიზეზად სახელდება სახელმწიფო ბიუჯეტი, თუ ბრიჯიტ მაკრონი მიიღებს პირველი ლედის სტატუსს, ეს მნიშვნელოვნად დააზიანებს საფრანგეთის ბიუჯეტს. გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთის მოსახლეობის 68% წინააღმდეგია იმისა, რომ ბრიჯიტ მაკრონმა მიიღოს პირველი ლედის სტატუსი.

როგორც ცნობილი გახდა, საფრანგეთის პრეზიდენტი მეუღლეს პირველი ლედის ოფიციალურ სტატუსს სთავაზობს. შეთავაზება ითვალისწინებს ბრიჯიტ მაკრონის ოფისის მოწყობას, თანამშრომლების დაქირავებასა და ხელფასის დანიშვნასაც კი. ფრანგების ნაწილი ამ იდეას არ ეთანხმება. საპროტესტო პეტიციას ხელი 150 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა. ისინი მიიჩნევენ, რომ მსგავსი ცვლილებები მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების გზით უნდა განხორციელდეს.

როგორც პრეზიდენტის ოპონენტები აცხადებენ, მაკრონის ახალი იდეა წინააღმდეგობაში მოდის მის მიერვე ინიცირებულ კანონთან, რომელიც ფრანგ დეპუტატებს ოფისში ოჯახის წევრების დასაქმებას უკრძალავს.

ბრიტანული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ არც გერმანიის კანცლერისა და არც გაერთიანებული სამეფოს პრემიერის მეუღლეს ოფიციალური სტატუსი არ გააჩნიათ.

**მედიანიუსი**

## „გალაქტიკის მცველების“ ვარსკვლავი კრის პრატი ცოლს გაშორდა



ფილმ „გალაქტიკის მცველების“ ვარსკვლავი კრის პრატი დაშორდა თავის მეუღლეს, მსახიობ ანა ფერისს, რომელთანაც რვა წელი იმყოფებოდა ქორწინებაში.

დაშორების თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია თავად მსახიობებმა დაადასტურეს.

როგორც პრატმა განაცხადა, ისინი დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ თავიანთი ქორწინება გადაერჩინათ და იმედგაცრუებულნი არიან იმის გამო, რომ ოჯახის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

— ჩვენ შვილს ორი მშობელი ჰყავს, რომლებსაც ის ძალიან უყვართ, — ხაზგასმით აღნიშნა პრატმა. მისი თქმით, შვილის გამო მათ სურთ, რომ მათი დაშორება იმდენად დარჩეს საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

პრატმა ასევე დაამატა, რომ ის და ფერისი კვლავაც განიცდიან სიყვარულის გრძნობას ერთმანეთის მიმართ, ყოველთვის გაუფრთხილდებიან იმ დროს, რომელიც მათ ერთად გაატარეს და ერთმანეთს კვლავაც პატივისცემით მოეკიდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სახელოვანი

## მერაბ ბერბერაშვილი იუბილარია

საამაყო ქართველი, ძირძველი თბილისელი, კაცი ვაჟკაცი ნათელი გონებით, ოქროს გულითა და რკინის ხელით, ვაჟკაცური შემართების, კაცურკაცობის ნათელი მაგალითი, კაცი ლომკაცი, ულალატო ძმა და მეგობარი.

დიახ, მერაბ (ის კაცია, ვით შეშვენის კაცსა კაცობა), რომელი ერთი გავიხსენოთ კაცურკაცური მეცენატური საქმეთაგან. მარტო ის რად ღირს, როცა ქვეყანას ნაცების ჭინკათა ხროვა დაეპატრონა (როცა საქართველოში ცოდვებით ზეცა ზანზარებს და მზესაც კი შესცივდა), ამ პერიოდში შენებური შემართებით ხელმძღვანელობდი დიდუბის პურკომბინატს, რითაც დიდი წვლილი შეგქონდა მამულიშვილურ საქმიანობაში, რასაც „ერის დაპურება“ ჰქვია.

ჩემო ძმაო, შენისთანა მამულიშვილზეა ნათქვამი: კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე. შევთხოვ უფალს, გფარავდეს ღმერთი ყველგან და ყოველთვის შენ და შენს დიდ ოჯახს, ყველა თქვენს მლოცველსა და კეთილმოსურნეს.

უნდა ვადიდოთ ღმერთი, წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, წმინდანი მრავალნი საქართველოსი. დღეგრძელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ თანამედროვეობის ყველაზე დიდ ქრისტიანს, უწმინდესსა და უნეტარეს ერის მამას — ჩვენს პატრიარქს.

განა შეიძლება ამ დიდ ზეიმზე არ გავიხსენოთ ჩვენთვის უახლოესი სისხლი და ხორცი, საძმო და სამეგობრო, რომელნიც შეუერთდნენ ზეციურ საქართველოს, რომელიც მიწიერ საქართველოზე მრავლადაა.

მჯერა, რომ მათ უფალმა მიუჩინა ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. აქედან ჩვენ დავლოცოთ, იქედან კი არ მოგაკლდეს მათი ლოცვა-კურთხევა.

დიდება მაღლითა შინა ღმერთს და ქვეყანასა ზეცა კაცთა შორის სათნოებას.

წყალობითა ღვთისა, მე, თენგიზ ონიანი, შვილი, ცოდვილი ამა ქვეყნისა, გულწრფელად გლოცავ ჩემს ძმასა და მეგობარს, გლოცავ მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა, სიყვარული, სიკეთე ნუ მოგაკლოთ დედა ღვთისმშობელმა, მფარველმა და პატრონმა ქვეყნისა ჩვენისა.

მრავალჟამიერ დღეგრძელობა, სიცოცხლე და გამარჯვება, ჩემო მერაბ!

**პატივისცემით, შენი ძმა და მეგობარი თენგიზ ონიანი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 9 აგვისტოსთვის



**ვერძი** — საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** — საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** — მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** — დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** — ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** — ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** — დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** — თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** — აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** — ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** — საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** — პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 2. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 3. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის მდებარე ისტორიული ქართული კუთხე; 5. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. აეროპორტი ლუქსემბურგში; 9. ქალაქი იმერეთში; 13. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 15. მტაცებელი ფრინველი; 16. მიწის წიაღიდან მადნის მომპოვებელი საწარმო; 19. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

**თარაზულად**: 4. ზოგიერთი ქიმიური ელემენტის საერთო სახელწოდება, რომლებიც ბუნებაში მხოლოდ მარილების სახით გვხვდება; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება მართლმადიდებელ ეკლესიაში; 10. ქალაქის თავი ძველად იტალიაში; 11. ძველი ხალხური თქმულება, ლეგენდა; 12. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 14. ესპანური სპორტული გაზეთი; 17. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. მწირი, მოუსავლიანი ნიადაგი; 20. იარაღის საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 21. არგონავტთა ხომალდი; 22. ტბების შემსწავლელი მეცნიერი; 23. უნივერსიტეტი პარიზში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ლატავრა“; 2. იუდოფილი; 3. არაბული; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ლიბრეტო; 15. მცხეთა; 16. სტამბა; 18. გრილი.

**თარაზულად:** 4. კაბოშონი; 6. სკუდიერი; 8. კამბეჩოვანი; 10. წახნაგი; 11. ვალი; 12. მდოგვი; 14. ამური; 17. „ბასფი“; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. არვე; 22. „საბურთალო“; 23. ვიმპელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დუაიენი; 2. პერუ; 3. სუეცი; 4. ორბიტა; 6. „მუკუზანი“; 9. ნადური; 13. ტრამალი; 14. „ბარამბო“; 15. საკურა; 17. „მედეა“; 18. ამური; 20. თული.

**თარაზულად:** 1. დუპლეტი; 5. პოემა; 7. გულჩორა; 8. „აირზენა“; 10. რისკი; 11. ცაიში; 12. ნადული; 16. ბაჩანა; 17. მუყაო; 19. ალჩუ; 21. რუჰანი; 22. თექურა; 23. „მარიცა“; 24. დოკერი.

# ბესიკ ნემსაძე გორის დაბომბვას იხსენებს



მომღერალი ბესიკ ნემსაძე 2008 წლის აგვისტოში გორის დაბომბვას სოციალურ ქსელში იხსენებს და იმ ბიჭებს ეძებს, რომლებიც მის სარდაფში გორში კულტურის სასახლის გვერდით ჩაიყვანეს.

მომღერლები ბესიკ და ოთო ნემსაძეები გორიდან არიან და რუსეთ-საქართველოს რამდენიმედღიანი ომი საკუთარ თავზე გამოსცადეს.

**ბესიკ ნემსაძე:**

– როგორი ვიყავი 9 წლის წინ? როცა პირველი ბომბის ჩამოვარდნის ხმა გავიგე... უფრო სწორედ, ამ ხმამ გამაღვიძა და ძილის ბურანში დედაჩემის შეშლილ სახეს ვუყურებდი, ფანჯარა შემოტანილი იყო და დედა ოთახში ძლივს შემოვიდა, რომ დაეხედა ცოცხალი ვიყავი თუ არა...

არასოდეს დამავიწყდება იმ ჯარისკაცის სახე, დედაჩემს რომ ჩაეხუტა, „მაია დეიდა, შეიძლება დედა ველარ ვნახო და თქვენ ჩაგეხუტებითო“, არასოდეს დამავიწყდება სარდაფში გატარებული 4 დღე, შიში, მეზობლების გაფართოებული თვალები სიბნელეში... და ფიქრი, რომ რამდენიმე წუთში დაიბომბები, ბოლმა გახრჩობს, თვალებში სისხლი გადგება, ვერ ებრძვი, ვერ ამბობ, ვერ აკეთებ ვერაფერს.....

და ბოლოს, გთხოვთ გაავრცელოთ ეს პოსტი, რომ ის ბიჭები ვიპოვნო, ვინც ჩემს სარდაფში ჩავიყვანეთ გორში კულტურის სასახლის გვერდით... იქნებ ვინმეს გაახსენდეს... ის ღვინო, მამაჩემმა რომ დაალევინა, რომ შიში და ნერვიულობა გაექარწყლებინა მათთვის.... ის ტანსაცმელი, ჩვენ რომ მივეცით, რომ გზაში არავინ შეხვედროდა რუსი...“

# ნატო ვაჩნაძის ძეგლს გაწმენდა ესაჭიროება



ქართული კინოს ვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის ძეგლი კინომსახიობთა თეატრის წინ რამდენიმე თვის წინ გაიხსნა. ძეგლის ავტორი ლევან ვარდოსანიძეა. ქართული სილამაზის ეტალონად აღიარებული მსახიობის ძეგლს გაწმენდა ესაჭიროება.

ძეგლის ფოტოს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელი გაგა ჩხეიძე ავრცელებს:

– აი, ასეთი ხარისხის ძეგლებს დგამს თბილისის მერია და მერე ასე უვლის...

ბოდიში ამ ფოტოს გაზიარებისთვის, მაგრამ მინდა ვინმემ ხმა მიაწვდინოს ძეგლის ავტორს და მერიას...

# გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თანამდებობა დატოვა



საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებისთვის სექტემბერში კონკურსი გაიმართება. გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი სოსო ნემსაძე ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებს. კონკურსამდე ერთი თვის ადრე, მან დაკავებული თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ინფორმაცია ამის შესახებ რეჟისორმა თავად გაავრცელა:

– მე მივმართავ მხოლოდ ერისთავის თეატრის ერთგულ მაყურებელს, თქვენ ნამდვილად იმსახურებთ საუკეთესო სპექტაკლებს. თქვენი მხურვალე ემოცია ყოველთვის გარკვეულ სტიმულს მაძლევდა გორელებო.

ყველა პროექტის განხორციელება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ყველაზე რთული მაინც თეატრიდან წასვლის გადაწყვეტილების მიღება აღმოჩნდა. რას იზამ, ეს მაინც გარდაუვალი იქნებოდა, ხოდა, იყოს ახლა. უდიდესი წარმატება ერისთავის თეატრს. მიყვარხართ.


# სამგლოვიარო განცხადებები

მერაბ მანჯგალაძე და მისი ოჯახის ყველა წევრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბავშვობის განუყრელი მეგობრის, კეთილშობილი პიროვნების, ულამაზესი ტანმოვარჯიშე – სპორტის ოსტატის, შემდგომ სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ყოფილი უფროსის

**გივი (კორკოტა) ბიძინას ძე**
**კორკოტაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# თაკო ჩარკვიანი: „დიახ, საქართველო ოკუპირებულია“



პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი საქართველოს ოკუპაციის თემას სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– დიახ, საქართველო ოკუპირებულია და თანაც ეს არ ახალია, უკვე მრავალი, მრავალი წელია ჩვენი დამპყრობელი მეზობელი ასე გვექცევა, ეს იმ არა ჯანმრთელი ადამიანების გასაგონად, ვისაც რუსეთის იმპერია თურმე საქართველოს „გადამრჩენელად“ მიაჩნიათ. კარგად წაიკითხეთ ერეკლეს წერილი ავსტრიისადმი, როგორ სთხოვს მეფე დახმარებას და როგორ სურს მას, რომ საქართველო დასავლეთის პარტნიორი გახდეს და მიშასადმი სიძულვილი ნუ დაგვავიწყებს, რომ ოსეთამდე აფხაზეთის ომი იყო, მანამდე 9 აპრილი, 1956 წლის 9 მარტი, 1978 წელს ენას გვართმევდა, ავტოკეფალია გაგვიუქმა, გაგვიუქმა მეფის ინსტიტუტი და გუბერნიად გვაქცია ამ „ერთმორწმუნემ“... ეს მათთვის, ვინც მას „ერთმორწმუნე მეგობრად თვლის“, ჩვენი ფრესკების და ძეგლების გადალებვა-განადგურება ნუ დაგავიწყდებათ...

და ბოლოს, აამუშავეთ უკვე არსებული ოკუპაციის კანონი, მართლა ღირსება აყრილები ხომ არ ვართ?! გამოხტება ახლა ვიღაც ტვინარეული „დაქირავებული კაცაცო“ და მეტყვის, აბა, იმ დროში არ ცხოვრობდით? და მამაშენი იმ დროში არ ცხოვრობდაო და ცუდად იყავითო... დიახ, იმ დროში ცხოვრობდა და იმ დროში წერა „რწმენის კედელ“ და იმ დროში ითხოვდა ტყვიას თავისუფლებისთვის. ჰო, 1969 და 1972 წლებში ამბობდა „ტყვია მიზანში მოსახვედრიაო“, გარეთ რეჟიმი მძვინვარებდა და კიდევ იმ დროს ბეჭდავდა ჟურნალ „ცისკარში“ „დათა თუთაშხიას“, რეზო ჯაფარიძის და კაკო ბაქრაძის წერილებს, „თვალი პატიოსანს“ და ვინ მოთვლის კიდევ...

ყდაზე ტრაქტორიც ბევრჯერ დაუხატავთ თავთავებით, იმიტომ, რომ ზუსტად ჟურნალ „ცისკრის“ იმ ნომერში ანტისაბჭოთა ბომბს ბეჭდავდა. დიახ, იმ დროში ცხოვრობდა ჯანსუღი და მისი სამეგობრო და კაცები და ვაჟკაცები იყვნენ. ნუ, ყველა არა, რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე გამონაკლისი სალახანა, რომლებიც სალახანანებად დარჩნენ, ერთი ასეთი სალახანა პოეტი, როცა ქართულმა დელეგაციამ კრემლი დატოვა, გახსოვთ გახმაურებული სკანდალი, როცა ასტაფიევმა ავადმყოფი ერი გვიწოდა, ეს სალახანა დელეგაციას არ გამოჰყვა გარეთ, დარჩა დარბაზში. მაშინ უთხრა ჯანსუღმა მას ის გახმაურებული ხუმრობა-ფუნაგორია, „ბიჭო, შენ რამდენიმეჯერ გნახეს საგურამოში წიწამურთან, სულ ტყუილად დეეთრევი, „რაგატკას“ არ გესვრის არავინო.“ და ცხადია, ახლაც „იმ დარბაზში“ ზის ის პოეტი, მათ ნარჩენებზე ნაკვები, ჰო და ახლა სწყინთ, რომ სალახანებად დარჩნენ, მაგრამ რა ვქნათ, მათ სიმხდალეს ხომ არ გადავაყოლებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ სალახანების კი არა და ვაჟკაცების ქვეყანა უნდა ვიყოთ. ასე არ არის? მიყვარხართ.

# დვაბზუს ეკლესიას ძეგლის სტატუსი მიენიჭა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში მდებარე ეკლესიას და სამრეკლო-კოშკს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

დვაბზუს ეკლესია და სამრეკლო-კოშკი მდებარეობს სოფლის შუაში, სასაფლაოზე. ეკლესია დარბაზულია. აღდგენილია რამდენიმე წლის წინ.

თავდაპირველი ეკლესია ნაგები იყო რიყის ქვით დუღაბზე. პერანგად გამოყენებული ყოფილა დიდი ზომის და სხვადასხვა ფორმის ქვები. ძველი ეკლესიისგან შემორჩენილი იყო ორი შესასვლელი – ჩრდილოეთის თაღოვანი და დასავლეთის ნახევარწრიული, აბსიდის შუაში სარკმელი იყო გაჭრილი, რომლის ორივე მხარეს ტრაპეციის ფორმის თითო ნიშა იყო ამოჭრილი, ზემოთ კი კედლებში ჩატანებული ყოფილა ქვევრები.

ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი ყოფილა პილასტრის დამასრულებელი კაპიტელი. სამხრეთის კედელი სრულად, ხოლო დასავლეთის კედელი ნაწილობრივ იყო დანგრეული.

ეკლესიას აღდგენის შემდეგ შესასვლელი აღმოსავლეთის გარდა ყველა კედელში გაუკეთდა. ინტერიერი შელესილია და თეთრად შეღებილი, იატაკად ბრტყელი აგურია დაგებული. გადახურულია კრამიტით.

სამრეკლო-კოშკი დგას ტაძრის დასავლეთით. ამჟამად გადაკეთებულია. ნაგებია რუხი ფერის ქვით. პირველი სართული ოთხკუთხაა და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა თაღებით გახსნილი. მეორე და მესამე სართული მთლიანად ახლიდანაა აშენებული და ოვალური ფორმისაა. მეორე სართულს აივანი აქვს გაკეთებული, მესამე სართული კი თაღოვანი ფანჩატურია.

კომპლექსის დასავლეთით, გზის პირას, კოშკზე მიდგმულია ახალი ყორე კედელი შესასვლელით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მელანია ტრამპის ეროტიკული ფოტოს ავტორი ორივე სახლს ყიდის






ფოტოგრაფი ანტუან ვერგლა, რომელიც აშშ-ის პირველი ლედის მელანია ტრამპის ეროტიკული ფოტოების ავტორია, ჰემპტონსში (ნიუ-იორკი) პლაჟზე მდებარე ორივე სახლს 12,5 მილიონ დოლარად ყიდის.

ობიექტები შესაძლოა გაიყიდოს როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე (6,9 მილიონი და 5,6 მილიონი დოლარი).

უფრო ძვირადღირებულია სამსართულიანი სახლი, რომელსაც ოთხი საძინებელი და სამი სააბაზანო ოთახი აქვს. უფრო დაბალფასიან სახლში სამი საძინებელია, ასევე აქვს აუზი. ორივე სახლიდან იშლება ხედები, მათ შორის ატლანტიკის ოკეანეზე.

ვერგლამ სახელი 1990-იან წლებში გაითქვა. ის მუშაობდა ისეთ სუპერმოდელებთან, როგორებიცაა კლაუდია შიფერი და სტეფანი სეიმური. მისი ფოტოები იბეჭდებოდა ჟურნალებში ვოგი, ელე, მაქსიმი, სპორტს ილუსტრეიდი და პლეიბოი.

2000 წელს ვერგლამ ეროტიკული ფოტოები მელანია კნავსს გადაუღო ბრიტანული GQ-თვის. 2005 წელს კი მოდელი ცოლად გაჰყვა მილიარდერ დონალდ ტრამპს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**9 აგვისტო**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.10, 02.45** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.10, 03.45** მხ/ფ "**პური" სიყვარული და ფანტაზია**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **15.00, 05.10** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**რეალობა იკბინება**" (ი.ჰოუკი) **00.35** მხ/ფ "**წყლის სამყარო**" (კ.კოსტნერი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. "**ელიფი**" **08.00, 16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 2-3 სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" 8 სერ. **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" სერ. **22.30** სერ. "**ელ პრინსიპე**" 1 სერ. **00.00** მხ/ფ "**ზღვისპირა ქალაქი**" **01.45** მხ/ფ "**დივერსია**" **03.30** მხ/ფ "**დიდი იმედები**" **05.35** მხ/ფ "**სკეპტიკოსი**"

**05.30, 18.45** სერ. "**კაცი**" **06.30, 19.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**მონკი 4**" **12.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" 6 სერ. **13.00** სერ. "**ძვლები**" 1" **17.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი 5**" **19.00** სერ. "**გრეის ანატომია 13**" **21.00** სერ. "**კრიმინალური რომანი**" **22.30** მხ/ფ "**უცნობი**" **00.35** მხ/ფ "**კონსტანტინი**" **02.35** მხ/ფ "**უბის წიგნაკი**" **05.00** მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" **06.30** მხ/ფ "**უკანასკნელი კადრი**"

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "სისი" **09.50, 22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.30** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" ნანსენი I ნაწ. **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **14.30, 19.55** მე რომ ვიყო **15.00** სერ. "**ბანდოლერა**" **18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** სერ. "**ფოილის ომი**" **21.30** ინტერვიუ ვანიჩკასთან **0.00** მხ/ფ "**მხოლოდ მამაცები**" **04.00** სერ. "**რაუ**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "მ. ბახტაძე, მარიკა ლორთქიფანიძე-წმინდა მეფე სოლომონ II" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-მარტორქები" **09.05** "განთიადი"-კოლაჟი **10.10** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **11.10** მიწათმოქმედი "ფოკის მამათა მონასტერი" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია "ალიკო ცინცაძე" **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღის სტუმარი" მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-სექტების შესახებ **13.50** "შუადღის სტუმარი" არტ პორტრეტი **14.30** დ/ფ "ველური ბუნება-ყველაზე ნელი არსება" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფიჩილე" **15.50** კონცერტი **16.50** აქტუალური თემა-"სასოწარკვეთილება" **17.10** "ერთსულოვანი ოჯახი"-ნემსაძეები **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.15** მოგზაურობა სამშობლოში-"იძრახისის სამკვიდრო-უდე, არალი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** თვენი "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **19.15** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **20.40** ძილი ნებისა "ღვთისმშობლის ხატი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ფონდი "ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი" **21.30** ეპოქის სახელები-"ვახტანგ კოტეტიშვილი" **22.00** ჩვენი ფონდი "ღალიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი" **22.35** ქართული ალბომი "ოთარ ციციშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ლაშა-გიორგი" **23.35** ივერიის ეკლესია "კონსტანტინოპოლის მხრიდან ავტოკეფალიის აღიარება" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** ისტორიის დღიური **00.30** მხ/ფ "**ბრავო ალბერ ლოლიშ**" **01.30** კონცერტი

**მაესტრო** **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.3910

ევრო — 2.8204

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1197

100 რუსული რუბლი — 3.9754

## ამინდის პროგნოზი

9 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი
მაია ბურჭულაძე
უფასო ბილეთი წარსულში
ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 20 ივლისიდან

შიო გვეტაძე
მონანიება
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## იუმორი



მამაკაცი ქალს ესაუბრება და თავის მოსაწონებლად ეუბნება:
– მე ორი უმაღლესი განათლება მაქვს მიღებული.
– რა, ერთში ვერ გასწავლეს?

●●●

ოფიცერი ჯარისკაცს ეკითხება:
– რიგითო, როგორ ნაბიჯებს გადადგამთ, თუ მტერთან პირისპირ აღმოჩნდებით?
– დიდს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– როგორ უნდა მოსპოს ჩვენმა მთავრობამ კორუფცია?
– სუიციდით.

●●●

სასამართლოზე მოპასუხე თავის ადვოკატს ეთათბირება და ეკითხება:
– გავიგე, მოსამართლე ეწევა და სიგარები რომ გავუგზავნო ყუთით, იქნებ საქმე მოვიგოთ?
– არავითარ შემთხვევაში! ის ძალზე პატიოსანია და შეიძლება ქრთამის შეთავაზებისთვის ციხეში გაგიშვას.
სასამართლო დასრულდა. მოპასუხემ საქმე მოიგო. გაოგნებული ადვოკატი ეუბნება:
– ვერაფერი გამიგია! ეს, ფაქტობრივად, წაგებული საქმე იყო! და როგორ მოვახერხეთ მისი მოგება?
– მე მაინც გავუგზავნე მოსამართლეს სიგარები. აი, როგორ მოვიგეთ!
– ???
– ყველაზე უხარისხო, საშინელი სიგარების კოლოფი ვიყიდე და მასში მოსარჩელის სავიზიტო ბარათი ჩავდე...!

●●●

ექიმი პროქტოლოგი პაციენტს სინჯავს და ეუბნება:
– ჰოო, თქვენ ამ შესასვლელში ნახეთქი გაქვთ.
– არა-არა! შესასვლელში კი არა, გამოსასვლელში.

●●●

მნახველი ციხის თანამშრომელს ეკითხება:
– შეგიძლიათ მითხრათ, შემიძლია თუ არა შევხვდე პატიმარ ბერიძეს?
– იცით რა, ის გუშინ განთავისუფლდა პატიმრობიდან, თუმცა შეგიძლიათ ერთ თვეში შემოიაროთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## პრინცესა დიანას უცნობმა კადრებმა არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია



ბრიტანულმა Channel 4-მა აჩვენა დოკუმენტური ფილმი „დიანა: მისი საკუთარი სიტყვები“, რომელმაც მაყურებლებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

სურათში შევიდა პრინცესას უცნობი კადრები. ჩანაწერი 1992-93 წლებში კენსინგტონის სასახლეში მეტყველების ტექნიკის მასწავლებელმა პიტერ სეტელენმა გააკეთა.

ამ ფილმში დიანა საუბრობს პრინც ჩარლზთან თავის ცხოვრებაზე.

ზოგიერთმა ტელემაყურებელმა ამ ჩანაწერის ჩვენების გადაწყვეტილებას „მორალურად არასწორი“ უწოდა.

– არ ვეთანხმები იმას, რომ ამას აჩვენებენ ეთერში, მაგრამ ამავე დროს არ შემიძლია არ ვუყურო, – აღნიშნა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

სხვები დიანას პიროვნებით აღფრთოვანებულნი დარჩნენ და აღნიშნეს, რომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მთელმა მსოფლიომ შეიყვარა პრინცესა დიანა.

ზოგიერთმა კი კომენტარში აღნიშნა, დიანას რომ არ ნდომებოდა ის, რომ ეს მასალა ეჩვენებინათ, მაშინ მისი ჩაწერის უფლებასაც არ მისცემდა.

## დანიის დედოფლის ქმარს მეუღლის გვერდით დაკრძალვა არ სურს

დანიის დედოფლის მარგარეტ II-ს მეუღლემ განაცხადა, რომ არ სურს თავისი მეუღლის გვერდით დაკრძალონ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

როგორც 83 წლის პრინც-კონსორტმა ჰენრიხ დანიელმა განმარტა, ის უკმაყოფილოა იმით, რომ მას არასოდეს თვლიდნენ თანამეცხედრის ტოლსწორად. დანიის სამეფო სახლის კომუნიკაციების დირექტორმა ამის თაობაზე ერთ-ერთ ადგილობრივ ტაბლოიდთან ისაუბრა.

დანიის სამეფო სახლმა დაადასტურა, რომ ჰენრიხისთვის გადაწყვეტილება, არ დაიკრძალოს მეუღლის გვერდით – იმის „ბუნებრივი შედეგია“, რომ მის მიმართ დამოკიდებულება ისეთივე არ იყო, როგორიც მისი მეუღლის მიმართაა.



წყვილმა 1967 წელს იქორწინა. ჰენრიხმა პრინც-კონსორტის ტიტული მიიღო, თუმცა არაერთხელ განუცხადებია, რომ ერჩივნა მისთვის მეფე-კონსორტი ეწოდებინათ. მაგალითად, დანიაში პრინცესა დედოფალი ხდება, როდესაც მისი მეუღლე ტახტზე ადის.

ჰენრიხი პენსიაში 2016 წელს გავიდა. მას შემდეგ ის ძალიან ცოტა ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობდა და ამჯობინებდა დრო საფრანგეთში, საკუთარ ვენახში გაეტარებინა. ის ოფიციალურად კვლავაც დედოფლის მეუღლეა და ისინი ოფიციალურად „ერთად ცხოვრობენ“.

## თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის შესარჩევ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას



18 წლის ქართველი მოდელი პარიზისა და მილანის მოდის კვირეულების მონაწილე თაკო ნაცვლიშვილი ვიქტორია სეკრეტის შესარჩევ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

თაკოს მისი სააგენტო „ნექსტი“ ვიქტორია სეკრეტის შესარჩევი კონკურსისთვის ჯერ კიდევ გასული წლიდან ამზადებდა. სააგენტოს ინფორმაციით, როგორც კი მოდელს 18 წელი შეუსრულდებოდა, კონკურსში მონაწილეობას შეძლებდა.

თაკო უკვე 18 წლისაა და მას კონკურსში მონაწილეობის სრული უფლება აქვს. მოდელი ნიუ იორკში იმყოფება, სადაც 17-18 აგვისტოს ვიქტორია სეკრეტის შესარჩევი კონკურსი ჩატარდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ბრიტანეთის ექს-პრემიერის მეუღლემ კერვა დაუნინგ-სტრიტზე ისწავლა



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დევიდ კემერონის მეუღლემ განაცხადა, რომ კერვა დაუნინგ-სტრიტის სასადილოში ისწავლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

სამანტა კემერონმა თავისი პირველი მოდური ბრენდი Cefinn-ი 2016 წლის ბოლოს აამუშავა. როგორც გაირკვა, ის დიდი ხანია დიზაინერობაზე ოცნებობდა.

– სხვადასხვა წლებში მსურდა მხატვარი ან დიზაინერი ვყოფილიყავი, – განაცხადა ექს-პრემიერის მეუღლემ. კემერონი ოცნების რეალიზებას 2010 წელს შეუდგა, როდესაც თავის ქალიშვილ ფლორენსზე იყო ფეხმძიმედ.

მან კომპანია Smuthson-ის კრეატიული დირექტორის თანამდებობა დატოვა, რომელიც ტყავისა და სხვა პროდუქციისგან მაღალი დონის ნივთებს ამზადებდა. უფრო მეტი თავისუფალი დროს გამოჩენის შემდეგ კემერონმა ჭრა-კერვის ხელოვნების დაუფლებას მიჰყო ხელი.

ექს-პრემიერის მეუღლის თქმით, მან საბაზო საკერავი მანქანა შეიძინა, შემდეგ სხვა საკერავი მანქანაც და მანეკენიც. როგორც კემერონმა აღიარა, ბოლო ორი წელი ის საკერავ მანქანებს უყვიროდა და საკუთარი ოსტატობის დახვეწას ცდილობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 2. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომი; 3. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. მდინარე გაგრაში; 12. ელექტრონავიგაციური ხელსაწყო გემზე, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს გემის მიერ განვლილ გზას; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მონასტრის მსახური; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

**თარაზულად**: 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 15. აეროპორტი მილანში; 18. კუთხე საქართველოში; 21. ორკუზიანი აქლემი; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

